

832
1950

ქვები დროშა

“ NOTRE DRAPEAU ”

Directeur: MICHEL STOUROUA.

N° 7

ქართველი

ო ქ მ ი მ ბ ე რ ი

P a r i s .

1950

M. 60. 8305265.

ხანგრძლივი დავიდარაბის შემდეგ საბოლაოთ ჩამოყალიბდა ორი ქვეყანა, ერთი დასაელეთი ამერიკიანა, მეორე საბჭოთა იმპერია ჩინეთიანა. ყველა ამათ გარეთ მღვმნი ხალხები არის ქანაობაში, ზოგი ერთ მხარეზე მიექანება, ზოგი რჩება ძეველ პოზიციაზე.

ამ ორ ქვეყანას შორის არის ორნაირი განსხვავება—ეკონომიკური და პოლიტიკური. პირველის ეკონომიკა არის სავსებით ინდუსტრიალური, კაპიტალისტური. მეორის ეკონომიკა არის საექსპერიტო აგრარული: მთავარი წყარო ცხოვრებისა არის მიწათმოქმედება. ხოლო ეს წყარო ზოგან სახელმწიფოს ხელშია, ზოგან კერძო მესაკუთრეთა მფლობელობაშია. დასავლეთი აგებულია თავისუფლების საფუძველზე, აღმოსავლეთი ძალმომრეობაზე. პირველი იძლევა ბრძოლის თავისუფალ კალაპოტს, მეორეში ეს კალაპოტი დაბულია, თავისუფალი ბრძოლა შეუძლებელია. მეფეთა ჩეუიმი რუსეთში შესცვალა საბჭოთა ტირანიამ, გაცილებით უფრო მკაცრმა და დაუნდობელმა.

ამ ორნაირ ქვეყანას აერთებს თეორეტიულათ ერთ კალბი დროშა, აგრძარიული ნაწილი იჩემებს და აფრიკალებს მარჯვისში, მოძღვრებას ანტიკაპიტალისტურს, აღმოცენებულს ეკონომიკის ეკონომიკურ საფუძველზე. მას არ აქვს არა-კითარი კავშირი არც თეორიულათ, არც პოლიტიკურათ აგრძარიულ ეკონომიკასან, აღმოსავლეთის კულტურასან. მოძრაობის ეს საოცარი გაყალბება ჩაიდინა მოსკოვმა და მას თავს ახვევს მსოფლიოს. დრო არის ეს ყალბი დროშა ჩამოიხსნას, მის მიერ დაფარული სინამდვილე აშკარა გახდეს და დიდ მოვლენათა რგოლს თავისი სახელი დაერქვას. ხოლო ეს სახელია ერთი, აშკარა და ნათელი—მსოფლიოს ჩამორჩნილ ქვეყნებში ხდება ერთი მხრით აგრძარიული რევოლუცია, მიწების ჩამორთმევა მემამულეებისათვის და მისი მოხმარა ხალხისათვეს. რუსეთში ეს ჩამორთმეული მამულები გადაეცა არა ხალხს, მიწის მუშავთ, არამედ სახელმწიფოს, მთავრო-

ბას. ამიტომ ხალხი წინააღმდეგია არსებული ხელისუფლების. ეგევე საკითხი დგას დღეს ჩინეთში, აქვე დაიწყო ძებნა გამოსვალის.

ამ აგრარიულ ქვეყნების თავისებურობას ემატება პოლიტიკური და ნაციონალური ამოცანა. ევროპა კარგა ხანია დაეპატრონა მრავალ ერებს და ქვეყნებს აზიაში და აფრიკაში. ახლა ამათ აღარ სურთ იყვნენ სხვისი კოლონია და ამ ნიადაგზე დაწყებულია მოძრაობა, ამას ხელს უწყობენ მოსკოველები, თავისი მეხუთე კოლონის საშუალებით. ეს საკითხი დროს შესაფერათ გადასჭრა მხოლოდ ჩნდებოს, ის თავისი ნებით გამოვიდა ინდოეთიდან და მით ძირი გამოუთხარა იქ კომუნიზმის განვითარებას.

ჩინეთის კომუნისტური რევოლუცია არავითარ კომუნისტურს არ ატარებს. შანკაიშეკის მთავრობის უმრავლესობა შედგებოდა მემამულებისაგან. მცხოვრებთა 85 პროცენტი სოფლელებია. ჩაბმული მემამულეთა სამსახურში. სუნტიასენის მიერ დაწყებული რევოლუცია სრულიდა არ შეხებია აგრარიულ რევოლუციას, არ მოუსპია ძველი ფეოდალიზმი. აი ამ მდგრამარეობით ისარგებლეს მოსკოველებმა, ააჯანყეს ჩინეთის ხალხი და დამატებეს არსებული მთავრობა. ახლა დაისვა საკითხი მიწების გადანაწილების შესახებ. მთავრობის მეთაური მათ აცხადებს, რომ ის წინააღმდეგია კოლექტივიზაციის, ხელშეუხებელია გლეხთა საკუთრება და სხვ. ე. ი. ის მომხრეა აგრარიული რევოლუციის ხალხის სასარგებლოთ. ამით ის გამოეყო მოსკოვის ეკონომიკას.

ასეთივე დავაა დღეს ინდოჩინეთის კომუნისტებთა შორის: მათი ერთი ნაწილი მოითხოვს წერილი გლეხობის საკუთრების ხელშეუხებლობას, მდიდარი გლეხობის მიწის კონფისკაცია არ მოხდეს, აგრარიული რეფორმა გამოიხატოს მხოლოდ მემამულეთა ლატიფუნდიების გაუქმებით და მათი ხალხის სასარგებლოთ განაწილებით.

ერთისიტყვით, მთელ აზიაში დღეს დგას მხოლოდ ერთი საკითხი გადასჭრელათ—საკითხი აგრარიული; და რადგანაც ამის მომხრე პარტია გარდა კომუნისტებისა, არ აღმოჩნდა, ამიტომ მას მოსკოვმა დაარქვა მარქსიზმი, თუმცა მათ შორის არაფერი საერთო არ არის.

ამნაირათ, აზიის გარდაქმნას ევროპის ხაზით, დემოკრატიული, ეკონომიური და პოლიტიკური რეფორმებით დღეს

წინ ელობება ბოლშევიზმი, კრემლის დიქტატურა და მიიღო ტვის მის რუსეთის ბატონობაში ჩაჭერას. რუსული კომუნიზმი არის გაგრძელება რუსული სოციალური მოძღვრების, რომლის მთავარ მეფრომშეთ ითვლებოდენ ნებაევი და ტკაჩივი და რასაც დღეს მოსკოველები ასაღებენ მარქსისტულ სოციალიზმათ. ასეთი გაყალბება ისტორიის და მისი სინამდვილეთ გამოტანა აიხსნება ერთი გარამოებით: სოციალისტური ინტერნაციონალი დაგარდნილია. ის მოკლებულია იდეოლოგიას და მოქმედებას, ვერ დაუპირდაპირდა მოსკოვის დესპოტიას, მის ცრუ სოციალიზმს და მით გზა გაუკაფა მსოფლიოს იდეიურ და პოლიტიკურ არევ-დარევას. ახლა მოსკოვი ასრულებს ლენინის მთავარ დებულებას—ეკონომის კაპიტალიზმის გაუქმება შესაძლებელია აზიის და აფრიკის ხალხთა მისგან განთავისუფლებით. ის სპობს დასავლეთის გავლენას მსოფლიოში და მის ალაგას ამყარებს რუსეთის გავლენას. ბოლ'შევიზმი სხვადასხვა თანამედროვე ტერმინოლოგიით ფარავს თავის ნამდვილ სახეობას და შეპარულათ ახორციელებს მეთვრამეტე საუკუნის სლავინიულების მოძღვრებას, რომელიც სწერდენ: ევროპა დაბპა, მისი ადგილი უნდა დაიჭიროს რუსეთმათ (ბოლტინი და მისი მიმდევრები). ეს მოძღვრება გაყოტრდა, რუსეთი შედგა ევროპის გზაზე; ახლა ის ალადვინეს სამარიდან ბოლშევიკებმა და შეუდგენ მის განხორციელებას. მაგრამ აზიის კომუნისტები ასე ბრძან არ მისდევენ მოსკოველებს და მათ შორის იღვიძებს განსხვავება საშინაო პოლიტიკაში. სამავიკროთ საგარეო პოლიტიკა საერთო აქცით, მისი ძირია ერთი ხაზი: განთავისუფლება აზიის ევროპის პატონობისაგან. ამ გზაზე აღმოსავლეთის კომუნისტები ხელი-ხელ ჩაჭიდებული მიდიან, ერთიმეორეს ებმარებიან. ამ მიმართულებით პირველი დიდი დათმობა გააკეთა ინგლისმა, ის გამოვიდა ინდოეთიდან.

ამნაირათ, აღმოსავლეთი დგას ერთად ნაციონალურ ხაზზე, მოსკოვი ებმარება; დასავლეთი განიცდის რყევას, მოცულია დაუსრულებელი ლაპარაკით და ვერ გადაუდგამს ნაბიჯი აზიის დაახლოვებისაკენ, ვერ ბაძავს ინგლისის მაგალითს. ამ ყოველნიშით სარგებლობს მოსკოვი და გამოდის აზიის ხალხების მფარველათ. მისი მიზანია აზია და კოლონიალური ხალხები გაიხადოს თავის ექსპანსიის გზათ და ხიდათ. ამჟამათ ის მუშაობს თავის გავლენის გასაერცელებლათ

სხვადასხვა აზიურ ქვეყნებში: ინდო-ჩინეთში, მალეზიაში, ბირმანიაში, ინდონეზიაში, ფილიპინში, ინდოეთში და პაკისტანში. აქედან აპირებს გადასვლას აფრიკაში და ლათინურ ამერიკაში.

ამ მოსკოვრი ხაზის მოშლა და დასაცლეთის გავლენის აღდგენა შეიძლება ერთი საშუალებით: ეკროპა-ამერიკაში უნდა იცნონ აზიის ხალხების ნაციონალური და პოლიტიკური მოთხოვნილებანი, დაეხმარონ მათ ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ, ხელი გუწიოდონ რუსის და არარუსის ჩაგრულ ხალხებს საბჭოთა იმპერიისა, გამოვიდენ მსოფლიო სარბიელზე აშეარა ანტიბოლშევიკური დროშით. ამის პირველი ნაბიჯი უნდა გადადგას სოციალისტურ ინტერნაციონალმა და ის გახდეს ამ ახალი ბრძოლის იდეიურ შეთაურათ. წინააღმდეგ შემთხვევაში საბჭოთა გამარჯვება ყველა ფრონტზე აუცილებელია. მებრძოლის დამარცხება შეიძლება მხოლოდ შიზანშეწონილი ბრძოლით.

ამ ბრძოლის ხაზი ერთნაირია: მსოფლიოს ორათ გაყოფა დაუშვებელია. აღმოსაცლეთის ეკროპეიზაცია აუცილებელია. ამის საშუალება ერთია: ორივე ქვეყნის დამსავსება პოლიტიკურათ, ეკონომიკურათ და ნაციონალურათ. აღმოსაცლეთსაც, მსგავსათ დასაცლეთისა, უნდა ქონდეს თავისიუფლება, სამრეწველო განვითარება, დამოუკიდებლობა. დასაცლეთის მიერ ასეთი დროშის აფრიკალება გარიყავს მოსკოვს და დაანგრევს მის დიქტატურულ წყობილებას. მაშინ რუსეთიც შემოვა ამ საერთო მსოფლიო შენობაში და კაცობრიობა გამოთქმდება.

დრო კი არის ძველი ბურჟუაზიული ეგოიზმი, შენ შენთვის და მე ჩემთვისო, მოიხსნას და მისი ალაგი დაიჭიროს პუმანიზმა, არა ნაციონალურმა, არამედ საკაცობრიომ, საყოველთაომ. ქვეყანა ერთია, ადამიანი ერთია; მათი ცხოვრებაც საერთო ხაზის მატარებელი უნდა იყოს.

ნ. ქ.

მცირე შენიშვნები

დიდ აგბება.

ამას წინეთ ერთ ფრანგულ საილიუსტრაციო ჟურნალში გულის შემზარავ ფოტოგრაფიულ სურათს წავაწყდი შემდეგი წარწერით: სეულის—კორეიის სატახტო ქალაქია—პირველი განთავისუფლებული; თვით სურათი წარმოადგენს ამავე ქალაქის ერთერთ უბანს მიწასთან გასწორებულს; ნანგრევების მთებში სიცოცხლის ნატამალი არ მოსახნს, სიკედილი დაპატრონებია მთელ ამ კუთხეს; ამ საშინელ ფონზე ვხედავთ ერთად-ერთ სულდგმულს, კორეიელ პატია ბავშს; იგი ცოცხალი გამოხატულება შიშის და განუწომელი მწუხარების; ხელებ გაწყდილი, მდუღარე ცირკებით მტირალე, საცოდავი პატარა ითხოვს შველას და ამაოთ უხმობს დაკარგულ მშობლებს...

შემაძრწუნებელ სურათს წარმოადგენს დღეს მთელი ეს ქვეყანა; ის ჯერ ჩრდილოეთიდან შემოსულმა ურდოებმა «ანთავისუფლა»; შემდეგ კი, როცა გამარჯვებამ პირი იბრუნა, მას განმეორებით, მოწინააღმდეგე ძალა «ანთავისუფლებს». ამ სისხლიან კადრილის შედეგია ლვთის ანაბარათ ნანგრევებში მიტოვებული ბავში,—ნამდეინი სურათი ომის საშინელებისა და ამ უბედულ ქვეყნის ტრალედისა.

ასეთია ხვედრი პატარა ერის, როცა ის მძლავრ მეზობლის ბრძა იარაღათ გადაიქცევა.

კორეიის დღევანდელი მდგომარეობა ჩვენთვის მეტად საგულისხმოა: მისი ისტორია ჩვენსას წააგავს; ძველთა-უძველესი ხალხი, მუდამ დამოუკიდებლობაზე მეოცნებე, 2 ათასი წლის გასწვრივი ის ხან იაპონიის და ხან ჩინეთის მონობის ქვეშ გმინავადა. უკანასკნელმა ომმაც არ გაუმართლა მას მოლოდინი; ვაშინგტონ-მოსკოვის 1945 წლის შეთანხმებით კორეიია, ოდესალაც «საამო დილის» ქვეყანათ წოდებული, ვაშლივით ორათ შუაში გაიჭრა; სწორედ აქ არის სათავე დღევანდელი მისი უბედურებისა.

ჩვენ ვხედავთ, რომ ეგრეთწოდებული ვივისექცია მარტო სამეცნიერო ლაბორატორიის პრივილეგიას კი არ შეადგენს; მას ერთა ურთიერთობაშიაც აქვს ადგილი; მხოლოდ იმ განხევავებით, რომ პირველი ბაჭიებზე და სხვა ცხოველებზე

աեցքն տացու յշի քերոմենքն էն; մեռն կո եալետա և եցունեց
աեցքն ռքյալ պոյծն.

Եղ յրտ գրուս, այս ոյք, քշմանուրանուլ թրցեթի քրուց-
քի գաօսմռճա սամցընուրո զոցու յշյուն վոնալմքց; մե-
ռուց սայցին մո յրտա և եցունեց դանու նայարդո ծանալուր հա-
մետ արուս մոմինեցուն.

Ճացանցօրու ամաս տացու: յը մեռլուր գուգունու յր-
տո մեարցա; մեարց սմտացրց սա ամամունուրո, հաւ հոցեթի ով-
ցոց յրտ գու ոմաց գրուս ալմայուց օնա գու առերեցուլ
եալետուսագմու յալրյուս տանացրմնօնաս; յրտու ըբուժուլու մետ-
քալուրուն յարցունու, յը, այս յտիցատ. անքրու քրունու քա-
սոցուա...

մուս մեռն մեարց կո յացուցու մնուշնելուն յմլցցա. ամ
նայցեցուն ուցյուցեթի կորցուանու գաւրուունու մեծեցու հաս-
տցուցնա սայրտա մուրուսու մացումարյունու նշյալունցատ; «Կոցու
ռմուս» քըրուունու յացրմունու մա յառա գու ոցու նշյուն կուտ
եցու ռմեցիտ եցունու եանանու.

կորցու, արց մերու արց նայլցնու, ամ եշրունդան քորչունո
թիմոնից ամաս; ամ ռքյալ պոյուս մետուու հոյենտցու, յարտցուլու-
տցուս, մշյացընուս աեալու յամուցմա; մուսու յեալրցնեցանու յա-
րուցնու մանսու յացց նայագ սայցացըւնունց դապրունունու: մոշինալմքցց
ծանայուս սամեցրու դյումնունունչուրու գու գու-
լունուոյուրո մահանմու; յնճա ուտյուս, հոմ ուցու ռքյալ պոյուս յա-
մունցահունցեցու հուսկուու ույու մոնիցունու; մոյեցրացատ ամո-
սա մուսկուցուս ճամարիցնու; քոլուոյուրու գու սամեցրու, ամ-
յարա գու յերացուտարու «կամշուլայցո» ամաս յըր յանցունու. յը
ար արուս ահյարցեցու դասկանա, ամյունուս ճայցանցուլու յամա-
յացնուու յամունցունու; հոյեն յարցատ յուուտ, հոմ կորցուս յան-
ցունոյերուս լոյզուուգաւու յուցց յեցր գրուս գու մեցուրելու
մուուտցուս; ույց նատելուս, հոմ մարտու ուահալուու ամ յանցեցի-
տու մեցութունունուս ճամպարցնու նշյալունց յանցուլուու; նշյաւնու մաս
ոմացց եցրունդան աեալուց ճայրտուս; ամուս նունցեց ունդունինց-
տուս ուրանունց սամեցրու մոյմյուցնուս յացեացըւնու ուլցա, մացրամ մոյեցրացատ ամուսա հոյենու դասկանա մանու յալանու հիցնա.
հաւում? ոմուրու, հոմ ույ հոնցուս յայումնունունց ամյուն-
ուի քրյաւույու նշորցուլ ալմուսացլու տի օալնեց նշյաւնու, կո-
րցուս յանցու ճապյարու ամ քրյաւույու սամուգամուն ճասասամա-
րցնու.

Նշմու ուտյուս գումյուրցնու, հոմ կորցուս սամեցրու
յանցունոյերու ամյունուս ուահալուու հարցամ մեուցունունչու սրու-
լուցնուու աեալու մացումարյունա նշյանա; մըյրսա գու մոյցարցն
մաս դաանաթա, հոմ ամյունուս նշյարցնունց յանցեցիսաւցուն

ყოველი ფასით მშვიდობიანობა მიუღებელია; რომ იგი მოსკოვთან იარაღით შეჯიბრებას, თუ მას აიძულებენ, არ გაუბის...

ძნელია აქედან გამომდინარე შედეგების ერთბაშათ თავის მოყრა; მხოლოდ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სტალინმა კორეის ავანტიურით უეპველათ ხელი შეუწყოდასავლეთის შეიარაღებას და მისი ლეტარგიიდან თავის დახურებას. მშვიდობიანობის კამპანია, დაცული ხელი აწყობილი, გაქრა დამის სიჩმარივით; სტოპგოლმის მოწოდებით გაბრუებული დასავლეთი, კორეიის ცეცხლმა გონს მოიყვანა.

მოვლენებს ნუ გაუსწრებთ, ნურც ილიუზებში გადავარდებით, ცხადია, რომ დასავლეთის გამოლვიდება მხოლოდ იწყება; მისი ქანაობა კიდევ დიდ ხანს არ შეწყდება; მოსკოვთან საერთო ერის გამონახვის ცდებს კიდევ ექნება ადგილი; მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ამერიკის თაოსნობამ გაიყოლია გაერთიანებულ ერთა ორგანიზაცია და მისი ნახევრად დააგადებულ სხეულის გალვანიზაცია მოახდინა. O. N. U-მ ბრძოლის დროშა აღმართა და მისი დაცვა ამერიკას ჩააბარა. კიდევ რამოდენიმე თვის უკან ასეთი რამ დაუჯერებელი იყო! ევროპის შეიარაღების და გამთლიანების საკითხი დისკუსიის სფეროს გაცდა და იგი უკვე პრაქტიკულ საგნათ არის გამხდარი; მართალია, ამ სტრიქონის დაწერის დროს, ამერიკა-საფრანგეთ შორის მძიმე დავა გერმანიის შეიარაღების შესახებ; მაგრამ მთავარია, რომ ვაშინგტონმა ამ მიმართულებით გარკვეული ხაზი აიღო. დანარჩენა მოვა.

კორეის ირგვლივ ჩვენ დავინახეთ ერთი რამ, რასაც ჩვენდა თავად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვაძლევთ: ამ ომს არ გამოუწვევია არავითარი პროტესტი მასის ფართო წრებში; იარაღის დამზადება და მისი ფრონტისათვის მიწოდება ბრწყინვალეთ იქნა ჩატარებული. არსად არც გაფიცვა და არც წესრიგის დარღვევა! უფრო მცერმეტყველი საბუთი ამერიკის მუშათა კლასის მთავრობასთან ამ საკითხში სოლიდარობისა ძნელი წარმოსადგენია *).

ასეთი სურათი მოგვცა ამერიკაში ხალხის განწყობილებამ ზურგში.

როგორია სურათი ბრძოლის ველზე? ჩვენ ვერ დავინახეთ ვერც ერთი ნიშანი ჯარისკაცთა უდისციპლინობისა, ან სილამარისა; კონფლიქტის პირველი ხანა, ამერიკის იარაღის

*) დამახასიათებელია ამ მხრივ, რომ ნიუიორკში დოკურებთა ორგანიზაციამ უარი განაცხადა საბჭოთა გემების დატვირთვა-გადმოტვირთვაზე.

შარცხებით აღნიშნული, ხომ საუცხოვო ნიადაგი იყო ამისა-
თვის? კომუნისტურ პრესამ გვამცნ უამრავი მაგალითი ამე-
რიკელ ჯარისკაცების სისახტიკისა, ლაჩრობის და უდისცი-
პლინობის კი ეკრა ერთი. რას მოწმობს ეს, თუ არა იმას,
რომ ამერიკელ მოქალაქეში თავის ქვეყნისადმი ერთგულება
ოდნავათაც არ შერყეულა და მაშასადამე მთავრობისადმი
მის არალიალობაზე ანგარიში ფუჭია.

უცველია, რომ ამერიკის კორეიაში სამხედრო ჩარევა
შეიცავდა რისკს; ეს უკანასკნელი ახლაც არ გამქრალა; მაგ-
რამ ასეთივე რისკს, თუ არა მეტს, შეიცავდა არა-ჩაუტელო-
ბა. ვიტყვით, ამერიკის ინიციატივამ საერთო ომის საშიშ-
როება შეანელა, მან მისი სპექტრი დაგვაშორა.

არცერთი პატარა ერი ამის შემდეგ დაბრმავებულათ,
ჯერჯერობით, მაინც მოსკოვს არ გაყობა. სწორედ ამიტომაა
უფრო მოსალოდნელი ინდონეზითის ფრონტზე გაჯტივება—
იქ უკვე ღმი მძინვარებს. მართალია, ჩინეთის საგარეო მი-
ნისტრი იმუქრება, კორეიის დაპყრობას ვერ მოვითმენ; მა-
გრამ ნათქვამია: იმდენს არ წიგოს, რამდენსაც ქუხსო. თუ არ
გაგიუდა, მათ კორეიის გამო ამერიკასთან, ომში არ ჩაებმება.
მოსკოვთან დადებული კავშირის წლისთავი მომავალ დეკემ-
ბერშია. ჩინეთის შინაური მძიმე მდგომარეობა იოტის დო-
ნეთაც მას არ შეუმსუბუქებია; დიდი ხანი არაა რაც შევიცა-
რის კომუნისტურმა «Yoix Ouvrière»-მ მოვცა სრული ან-
გარიში მათს პარტიულ კონგრესზე მოხსენებისა; ეს უკანას-
კნელი თითქმის ჩინეთის შინაურ ცხოვრების უნუგეშო სუ-
რათს იძლევა: დაახლოვებით 250 ათასი შეიარაღებული პარ-
ტიზანები (რასაცირკელია ამერიკის მიერ!) გაფანტულია
მთელ ტერიტორიაზე; მათს გამარჯვების მომგერელი, გლე-
ხობა ნერვიულობს და მოითხოვს მიწის საკუთრებათ გადა-
ცემას; უმშევრობა მძინვარებს, ფინანსიური კრიზისი დლი-
თი დლე მატულობს (იგივე ამერიკის საბორგაჟის გამო!), სა-
ვაჭრო ბალანსი კატასტროფიულია... ასეთ პირობებში, არ
გვგონია, რომ პეკინმა მოსკოვის მოთხოვნით საბედისტერო
ნაბიჯი გადადგას; საჭიროა დიპლომატიური კონტრ-ბალან-
სი, რომ წონასწონობა არ დაირღვეს; მისთვის გამო-
ცდილი ოსტატი ინგლისია და აქ მისი ხელი უკვე სჩანს: სა-
გარეო საქმეთა მინისტრის ამხანგიც კი გაიგზავნა ხანგრ-
ძლივი მისით; უნდა ვიდიქროთ, რომ მთავარი მისი მიზანი
იქნება ჩინეთთან ურთიერთობის აწყობა; ამისათვის საჭი-
როა, ამერიკის პოლიტიკის შებრუნვება. 1948 წელს ჩადენილი
შეცოდნის გასწორება.

ამ ამოცანის სიძნელე მხედველობიდან არ უნდა გაუშვათ;

առ շնօւ ճացարովիցոտ, հռմ սամեթը ամերկոյն Շյերտեցծոլ
Մթաւրիցին սագարյո პռլուրիցա մուս ցյօղընագուշուլ մցցոմա-
հյուզածտան առն ճայցանուրեցծուլո; ուս ցառըցծուլօ; կալո-
ցորոննուրան ցանսացաւրեցծուլ մուս պշուրագուցեան էնցնարո ոյցանց
ուշուրածն, նուշ-օռուրկուսաւցուս զո արևանքընկա մետացարո սաշերու-
նացու սացանու; լինաւու, հռմ մեցացու մցցոմահյուզա եցլս առ
շնչունծն հռմելումց յըրու եանուս կռնեսուրուցաւուս դա յըրու
ուրունքնչ մեյլու ցեցրցուս ճացրուցեան. մթրմա ց կարցաւ
ուրուս ճա ամուրոմաւ Շյերցուս ոնուրուրոյան եցլուրան առ
շնչունծն.

არავისათვის საიდუმლოებას არწარმოადგენს, რომ დღეს მოსკოვის მთავარი მიწანია ამერიკა ჩინეთთან ოშში ჩაბას; თუ ეს მიწანი მიღწეული იქნა, ამერიკას იაპონიის ბეჭი მოვლის; წლობით ამ კონფლიქტში ჩაფლა, ატომიური ბომბი, საქმეს ვერ უშეველის; ჩინეთი არც რიცხვით და არც სიკრცით იაპონია არ არის; ამიტომაც ჩვენ ვფიქრობთ, რომ, თუ დასავლეთი განშირული არ არის, საბედისწერო შეცდომას არ ჩაიდენს და მოსკოვის მიერ დაგებულ ხაფანგში არ გაება: ამის გზები მისთვის მოქრილი არ არის.

ჩვენ არა ერთხელ გვქონია შემთხვევა სტალინის «პაციფიზმში» გველაპარაკნა; ებლაც გვინდა ის მოვისხენიოთ; სხვათაშორის მისი «პაციფიზმი» ეყრდნობა შემდეგ დებულებას: საერთო შებმაში ის დარწმუნებულია ომზ წააგებს, მაშინ როდესაც ცალკე თავდასხმით კი მას შესაძლებლათ მიაჩნია მტრის წაეცევა; მან უკვე სცადა ასეთი ტაქტიკა სპარსეთის-აზერბაიჯანში, საბერძნეთში, გერმანიაში (ბერლინი). შედეგები ვიცით.

შორეული აღმოსავლეთი ამ მიმართულებით მართლადაც რომ ერცელი საცდელი მინდორია; გეოგრაფიულ რქას თუ დახედავთ, დაინახავთ, რომ აქ, კაცობრიობის ნახევარზე მეტი (ერთი მილიარდი და 100 მილიონი), ორ ბლოკათ არის გაყოფილი: შორეულ აღმოსავლეთის (580 მილ.) და ინდო-მალაიურის (520 მილ.), მათი გამაერთებელი რგოლი ინდო-ჩინეთია; თუ ეს უკანასკნელი გაქრა, აღმოსავლეთის ეს ნაწილი დასავლეთს ჩამოშორდება; ამიტომ კორეისა ინდო-ჩინეთის დასახმარებელ დივერსიათ უნდა ჩავთვალოთ.

აქედან აშკარაა, თუ რამდენათ გადაბმულია ერთმანეთზე, სამხრეთ-აზიის ყველა ამ ქვეყნების ბედი; ვიმოროებთ, კორი-იაში ამერიკის ენტრიტულმა ჩარევამ, დროებით მაინც, მდგო-მარეობა იხსნა; მაგრამ თუ ამ ხალხთა ფეხზე დაყენება ვერ მოხერხდა, გაწული მსხვერპლი ფუჭათ ჩაიღლის; ამერიკა

აქაც, ისე როგორც ევროპაში დღემდინ არსენალის როლს ასრულებს. მაგრამ ეს არ კმარა. აუცილებელია, რომ მოწინავე კაცობრიობამ ერთხელ და სამუდამოთ ნათლად წარმოიდგინოს დღევანდელი საერთაშორისო კრიზისის ბუნება; ეს უკანასკნელი გორდების კვანძი როდია, რომ მისი ხმლით გაჭრა შეიძლებოდეს.

1917 წელს მოსკოვმა დემოკრატიის ფრონტი გახეთქა და სხვის დროშას დაეპატრონა; ბოლშევკიზმის მთავარი დანაშაული იმაშია, რომ მან სოციალიზმის სახელით ლიბერალურ კაპიტალიზმს, პოლიციურ სახელმწიფოს კაპიტალიზმი დაუპირდაპირა; მიუხედავთ ამისა დღევანდელი კრიზისის ბუნება არსებოთად არ შეცვლილა, იგი სოციალური ხასიათისაა; მას თან ერთგუსი ეროვნული და კოლონიალური პრობლემები; მდგომარეობის მხოლოდ ამგვარად დაფასება და წამოყენებულ საკითხების რადიკალურათ გადაწყვეტა გამოაცილი მოსკოვს ყველგან ჩიადაგს. თუ ეს არ მოხერხდა მომავალი ჩვენ შავად გვეხატება.

ოცნაათ წელშე მეტია რაც კაცობრიობა შემდეგ დილემის წინაშე სდგას: ან მან უნდა აღმართოს სოციალური და ეროვნული სრული თავისუფლების დროშა და გაიკაფოს გზა საუკეთესო მერმისისათვის; ან არა და შავი დემაგოგია დაეპატრონება ცხოვრების მთელ ასპარეზს და თანამედროვე ცივილიზაციას უფსკრულში გარდაჩეხას. მდგომარეობის ასე წარმოდგენა განურებულ ფანტაზიის კი არ არის: ის გატიტვლებული სინამდვილეა. ამ ინტერეგალში გაკეთდა რამე მდგომარეობის გამოსახუროებლათ? სრულებით არაფერი. წინსვლას პირი არ უჩანს; თითქოს უკანაც დავიხიერ. აი ამის მცირე მაგალითიც: პირველ დიდი ომის დასასრულს ერთა ლიგა დიდ ინტერესს იჩენდა სოციალურ საკითხებისადმი. B. I. T.-ს (საერთაშორისო შრომის ბიურო) სათავეში სოციალიზმის თვალსაჩინო მეთაურთაგანი, ალბერტ ტომა ჩაუდგა; მის არაჩვეულებრივ ენერგიის ნაყოფია ძვირფასი მასალა შრომის დაცესის ირგვლივ დაგროვილი. შემდეგ? ამ ბიუროს და მის ნაშრომსაც თვით ლიგის ბეჭი ეწვია. ლიგის შემცვლელმა O. N. U. მუშათა კლასის საკითხი თითქმის ამორიცხა თავის პრაქტიკიდან.

ეროვნული პრობლემა? ხარტიაში ერის თავისუფლება აღიარებული; მხოლოდ ის სავალდებულოა «რკინის ფარდის» აქტთ. კოლონიები? ყველა მიმომხილველი ერთხმად აღიარებენ, რომ კოლონიებში შიმშილი და გახტინილი აღმინისტრაცია სტალინის საუკეთესო მოკავშირენი არიან.

მართლადაც, განა ტშანგ-კაი შექის და მისი ანტურაჟის

ანტი-დემოკრატიულმა და ანტი-სოციალისტურმა მოდეა-
 წეობამ არ შეუწყო ხელი ჩინეთის გაკომუნისტებას?

სამხრეთ-კორეიაში, თვით ამერიკელების ცნობით Syng-
 man Ree-ის და მსხვილ მემამულეთა თარეშმა შეუწყო ხელი
 ჩრდილოეთიდან კომუნისტების შემოსევას.

ასეთივე სურათია, გამოუკლებლივ, ყველა სამხრეთ-აზი-
 ის ქვეყნებში, სადაც დასავლეთის მიერ ახლად გამოცხობილი
 მთავრობები შეგირდობის საფეხურს ვდრ გასცილდნ და მა-
 თი უნიჭო და უიღავო აღმინისტრაცია მცხოვრებთაფის
 აუტანელი შეიქნა. ყველაზე სავალაღოა, რომ ადგილობრივ
 მდგომარეობის პასუხისმგებლათ ძველი «ხაზეინები» გამო-
 ყავთ და თუ ამას დაუმატებთ წარსულის ყვლეფა-გლეჯის
 მწარე მოვლენებას, აღვილათ გასაგებია, რომ ამ ხალხთა გან-
 წყობილება ჯერ ანტიკოლონიალურია, ესე იგი თეორია რასის
 საწინააღმდეგო და შემდეგ კი ანტიკომუნისტური.

გავათავოთ. ადამიანი, მიუხედავათ მისი სოციალობისა,
 ცოტათ თუ ბევრათ, ეგოცენტრიკია: მისი წარმოდგენით,
 მისი ავ-კარგი სხვისას არ გავს, ის არაჩვეულებრივია. ასეა
 თაობებიც. თვითეული მათგანი თავის ეპოქას განსაკუთრე-
 ბულ მნიშვნელობას აძლევს.

ვარდებით ჩვენ ამ გადამეტებაში, თუ ვიტყვით, რომ
 ჩვენი ეპოქა საბედისწერო ეპოქაა კაცობრიობის განვითარე-
 ბის ისტორიაში? რასაკვირველია არა. გვითქვამს და ვიმეო-
 რებთ, რომ ამჟამათ წყდება ბედი მომავალ მრავალ თაობათა;
 რევოლუციით ფეხშიმიგ კაცობრიობა, მშობიარობის ჩანას
 განიცდის. რომელი ბებია ქალი შეუწყობს ხელს დაბადების
 პროცესს? აი ამაშია საკითხი. ერთი პრეტედენტაგანი ჩვენი
 ძველი ნაცნობია. მას ჩვენ 1903 წლიდან ვადენებთ თვალ-
 ყურს. მისი მეთოდია ე.წ. «ცეზარის პატრაცია». ამას ბავშიც
 და მისი მშობელიც უთუოდ გადავვება. ამიტომ აქ სულ სხვა
 ხელია საჭირო; ხელი დაცილი, მომქმედი, გაბედული და
 რაც უმთავრესია ბავშის და მისი მშობლის კეთილდღეობაზე
 მზრუნვავი...

ახლო მომავალი დაგვანახვებს თუ რამდენათ დღევანდველ
 ეპოქის მეთაურნი აღმოჩნდებიან მათი ისტორიულ მისიის
 სიმაღლეზე.

83. პეტერბური.

ჩ ვ ე ნ ი დ რ ი ც ს ს ა ტ პ ი ც რ ე ბ ი.

3. მწარმოებელი და მღვმელმარებელი.

დიდი ხანია—მას შემდეგ, რაც ნაწარმოები გაცელა-გა-
 მოცელის სავანი გახდა და საქონლის ალებ-მიცემობა გაჩალდა
 საზოგადოებაში—«მწარმოებელთა» და «მომხმარებელთა»
 შორის ბრძოლა არსებობს. ქალაქი სოფელ ს უპირდებირდე-
 ბა, ინდუსტრიალური ქვეყნები აგრძარიულ ქვეყნებს ებრძონ
 და მუშაც კი გლეხის უკმაყოფილა ამ-ნიადაგზე: მომხმარე-
 ბელს უნდა ნაწარმოები რაც შეიძლება იაფად შეიძინოს,
 მწარმოებლის სურვილი კი ისარის, რომ ნაწარმოები ძირად
 გაყიდოს. ეს ბრძოლა ხან მალულია და ხან შეუგნებელი, ხან
 კი აშკარა და მწვავე ხასიათს იღებს. მან ახლა უმალეს წერ-
 ტილს მიაღწია.

ვის შეუძლია ეს ორი მხარე მოარიგოს და მათ შორის
 არსებულ უთანხმოებას ბოლო მოულოს? ესეც ჩემი დროის
 დიდი ამოცანაა.

ზოგი ფიქრობს, რომ ამ წინააღმდეგობათა მოსარიგებ-
 ლათ საკმარისია «გეგმის» შეტანა თანამედროვე წარმოებაში
 და ალებ-მიცემობაში; ზოგის შეხედულებით კი უფრო დრმა-
 რეუორმებია საჭირო, თანამედროვე წარმოების და ალებ-მი-
 ცემობის აწ არსებულ ძირითად საფუძვლების შეცვლა და
 უმთავრეს საწარმოვო საშვალებების კერძო მესაკუთრეობი-
 დან საზოგადოების ხელში გადასვლა. ამ უკანასკნელ შეხედუ-
 ლებიდან გამომდინარეობს ის დიდი ცვლილებები, რომლის
 მოწმები ჩენ ვართ ახლა მრავალ ქვეყანაში, სახალხო მეურ-
 ნეობის ზოგიერთი დარგი კერძო მესაკუთრეობიდან ხელში რომ
 გადადის, მათი ნაციონალიზაციის და მუნიციპალიზაციის
 ხახით.

მოარიგა მერე ამ რეფორმებმა მწარმოებელი და მომხმა-
 რებელი? განა ხშირად არ გხერავთ „გასაზოგადოებულ“ შეუ-
 რნეობაში ფასების ზრდას, მოჯამაგირების სამდურავს პატ-
 რონის მიმართ, ქალაქის საყვეფურს სოფლის წინააღმდეგ და
 სოფლის ქალაქით უკმაყოფილებას? ბევრს აშინებს ასეთი
 მდგომარეობა და ამ გზაზე შემხვდარ დაბრკოლებებს ბევრი
 მიყავს პრინციპიალურ უარისყოფამდის არსებულ კონო-
 მიურ ურთიერთობაში რაიმე საფუძვლიან ცვლილების შე-
 ტანისთვის. რა იცვლება იმით, კითხულობენ ესენი, რომ მწა-
 რმოებლათ, ანუ წარმოების პატრონათ, კერძო მესაკუთრის
 მაგიერ საჯარო ხელისუფლება გამოდის—სახელმწიფო, ქა-
 ლაქი, თემი?

იცვლება, რასაკვირველია, ძალიან ბევრი, რადგან იცვლება წარმოების დანიშნულება, თვით სული წარმოებისა; სახელობის: თუ კერძო მწარმოებელს ასულდგმულებდა მხოლოდ მოგება, სახელმწიფო ან მუნიციპალურ მეურნეობას აინტერესებს უმთავრესად სახოგადოების მოთხოვნილებათა დაქმაყოფილება. ეს ძალიან დიდი სოციალურ ხასიათის განხსნავებაა მეურნეობათა ამ ორ კატეგორიის, კერძო და გასაზოგადოებულის, შორის. მაგრამ ეს განსხვავება არ სცელის თვით ბუნებას მეურნეობისას, მის ეკონომიურ აგებულებას, მის ეკონომიურ სტრუქტურას; ყოველგვარ მეურნეობას თან ახლავს მრავალი ისეთი თვისება, რომელსაც ვერ შესცვლის იმის მესაკუთრეობის ხასიათი ანუ ის გარემოება, თუ ვის ეკუთხის იგი. ასეთი თვისებები თან ახლავს გასაზოგადოებულ მეურნეობასაც და მათ მიერ გამოწევეული სიძნელეები დაუძლეველი რჩება, ყოველ შემთხვევაში ჯერ-ჯერისცით.

საჭიროა, ამ საკითხში კარგად ვიყროთ გარკვეული, რათა არც უმართებულ კრიტიკას გავყვეთ და არც გაცრუებულ იმედების წინაშე დავრჩეთ გულდაწყვეტილები.

ყოველგვარი წარმოება, არის იგი კერძო, სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ხასიათის, გამოხატავს გასანაწილებელათ ანუ გასაყიდათ გამოტანილ ნაწარმოების ფასში ორ უმთავრეს ელემენტს: ა) წარმოების თვითირებულებას და ბ) მოგებას.

მოგება საჭიროის ფასის ძალიან ცვალებადი ელემენტია, მაგრამ მაინც იმის შემადგენელი ნაწილია; იმაზე ხელს ვერ აიღებს ვერც ერთი წარმოება, თუნდაც რომ იგი სოციალისტური წარმოებაც იყოს. იმიტომ, რომ ყოველგვარი წარმოება, სანამ იგი არსებობს, საჭიროებს საშვალებას ამორტიზაციისათვის—მანქანების და ხელსაწყობების შესაკეთებლათ, მათი გამოსაცვლელათ და ახალის შესაძენათ, წარმოების გასაფართოებლათ და ახალი დარგების მოსაწყობათ; ყოველივე ამისთვის იგი საჭიროებს სათადარიგო კაპიტალს. სათადარიგო კაპიტალის დაგროვებას კი ემსახურება მოგება ანუ შემოსავლის ის ნაწილი, ის „ზედმეტი ლირებულება“, ხარჯების დაფარვის შემდეგ რომ უნდა დარჩეს წარმოების პატრონს, სულ ერთია კერძო მესაკუთრეა იგი, თუ საზოგადოებრივი დაწესებულება. უამისობ წარმოება ნორმალურათ ვერ იარსებდეს, იგი ვერ განვითარდება. მაშასადამე, მოგება საჭიროა უპირველეს ყოვლისა თვით წარმოების არსებობის თვის, მისი განვითარების თვალსაზრისით.

არის კიდევ ერთი დიდი მნიშვნელობის გარემოება, რომლის გამოსახელმწიფო თუ მუნიციპალური მეურნეობა მოგებაზე ხელს ვერ აიღებს. დღეს სახელმწიფო თუ ადგილობრივი თვითმართველობა ცხოვრობს უმთავრესად გადასახადებით; ამ გადასახადების უდიდესი ნაწილი იმ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებს შეაქვს ხაზინაში, ჯერ-ჯერობით

წერძო მესაკუთხოვებს რომ ეკუთვნის. რამდენათ სახალხო მეურნეობის სახელმწიფო და საზოგადოებრივი სექტორი განვითარდება და კერძო მეურნეობა შემცირდება, იმდენათ შევიწროვდება კერძო მეურნეობაზე შემოსავლის წყარო; ვინ და რამ უნდა შესცვალოს ეს წყარო, თუ არა გასაზოგადოებულ მეურნეობის შემოსავამა, მისმა მოგებამ? და იმდენათ მეტი ყურადღებაც უნდა მიექცეს ამ «მოგებას», რამდენათ დემოკრატიულ შემონველობის პირობებში—მრავალ სოციალურ ჩეფორმების შემოლების გამო—იზრდება სახელმწიფოს და ადგილობრივი მმართველობის ხარჯები. აი კიდევ რატომ არის საჭირო «მოგება» გასაზოგადოებულ მეურნეობაში.

ამნაირად, მეურნეობათა ერთი მეორიდან განსხვავება გამოიხატება არა «მოგების» საჭიროებაში, არამედ ამ «მოგების» დანიშნულებაში: კერძო წარმოებაში იგი მიაქვს კერძო მესაკუთრეს, გასაზოგადოებულ მეურნეობაში კი იგი ხმარდება საზოგადოების საჭიროებას.

აქ იმალება სათავეც იმ წინააღმდეგობათა, გასაზოგადოებულ მეურნეობას რომ თან ახლავს. ერთის მხრით, გასაზოგადოებული მეურნეობა, როგორც მეურნეობა საზოგადოების, მომხმარებლის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს, ე. ი. საქონელს იაფად უნდა ყიდიდეს; მეორე მხრით კი, როგორც «მწარმოებელს», მას არ შეუძლია მოგებაზე ხელი აიღოს და მით ნაწარმოების გაიაფებას განსაკუთრებულად ხელი შეუწყოს. თვით მიღომა ამ საკითხისადმი გასაზოგადოებულ მეურნეობისთვის სიძნელეს წარმოადგენს, და აი რატომ. მოგების წყარო ორნაირია: ა) საქონლის გაყიდვა რაც შეიძლება უფრო ძვირად და ბ) თვითი ინტენსიურებულების შემცირება, საწარმოვო ხარჯების შემოკლებით.

პირველი გზით გასაზოგადოებული მეურნეობა შორს ვერ წავა: მან რომ ულალაროს კიდეც მომხმარებლის ინტერესებს, რომლის დამცველი უწინარეს ყოვლისა ის უნდა იყოს, და საქონელი ძალიან გააძიროს, იგი ამ გზაზე დაეტაკება სხვა მწარმოებელთა კონკურენციას და საქონელი გაუყიდელი დაურჩება; იგი იზარალებს, თუ ეს კონკურენცია ხელოვნურათ არ იქნა ჩაკლული და გასაზოგადოებულ მეურნეობას ხელოვნურათ მონოპოლიური ხასიათი არ მიეცა, რაც აგრეთვე მრავალ შემთხვევაში ეწინააღმდეგება მომხმარებლის ინტერესებს.

მეორე გზა, გზა ხარჯების შემოკლების, პირველ გზაზე კიდევ უფრო ძნელია. საწარმოვო ხარჯებში უდიდესი ნაწილი მუშათა ხელფასს უჭირავს; თუ კერძო მწარმოებელი ცდილობს კონკურენციას სწორეთ აქ გაავათოს, მუშათა ხელფასის შემცირებით, გასაზოგადოებულ მეურნეობისთვის—სახელმწიფოსთვის და მუნიციპალიტეტისთვის—ეს მოუხერხებელია. უპირველეს ყოვლისა, იმიტომ—და ეს სრულიად ბუნე-

ბრივია — რომ სახელმწიფო და მუნიციპალური მეურნეობა თვითონ უნდა აძლევდეს კერძო მწარმოებლებს მაგალითს მუშა-მოსამსახურეთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის და, ყოველ შემთხვევაში, მათი მდგომარეობის გაუარესებაში ისინი კერძო მწარმოებელს ეერ მიბაძვენ. ამიტომ ხშირად მუშა-მოსამსახურეთა «გულის მოსაგებათ» და მათი საარჩევნო ხმების მოსახვეჭათ. მმართველი პარტია და მის მიერ დანიშნული აღმინისტრაცია, რა თქმა უნდა, ჩათრეულია ამ «შეჯიბრებაში» და ხშირად იძულებულია შეიძლება წარმოებისთვის ძალიან მმიმდ დათმობებზედაც წავიდეს ამ სფეროში.

კუველა ასეთ მიზეზების ვამზ, ნაწარმოების თვითონიუბულება სახელმწიფოს და მუნიციპალიტეტის სელში შემცირების მაგიერ უფრო ხშირად მატულობს ხოლმე.

თვითონიუბულების ხარჯების შესამოკლებლათ, გასაზოგადოებულ მეურნეობებს ერთად-ერთი საშვალება რჩება: წარმოებაში გაუმჯობესებულ ტექნიკის შემოლება. სადაც ეს სახელმწიფოს და მუნიციპალიტეტს არ შეუძლია, იქ მათ წარმოებას არ უნდა მოკიდონ ხელი, თუ ამას აუცილებლობა არ მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოქცეული მეურნეობისთვის აუცილებელ კანონების ჩარჩოებში, ისინი იძულებული გახდებიან ძვირ ფასებში მიაწოდონ საზოგადოებას ნაწარმოები და მით დაუკირდაპირდენ მომხმარებელს და ხანდახან, შესაძლებელია, უარესადაც, ვინემ კერძო მწარმოებელი და ვაჭარი არის მისდამი დაპირდაპირებული. ამნაზრად, წარმოების ნაციონალიზაციის და მუნიციპალიზაციის წარმატებით წაყვანა დაკავშირებულია უმთავრესად წარმოების საშვალებათა გაუმჯობესებასთან და ამ საშვალებათა განვითარებაზე უფრო არინ ისინი დამკიდებული, ვინემ უაღრესად განვითარებულ სოციალურ კანონმდებლობაზე. ამიტომ აფრთხილებდა კ. კაუპი პირველი დიდი ომის შემდეგ რევოლუციებიდან გამარჯვებით გამოსულ სოციალისტებს: «დაუშვებელი შეცდომა იქნება, თუ სოციალისტურ პარტიიებმა მთავრობაში რომ ჩადგებიან, დაიწყეს სოციალიზაცია ერთსა და იმავე ტროს სახალხო მეურნეობის ყველა კუთხიდან და ყველა დარღვევისა (იხ. მისი «პროლეტარული რევოლუცია და იმის პროგრამა»). ეს რჩევაა ამ საქმეში ზომიერების და თანდათანობის დაცვისთვის.

არჩევნებში გამარჯვებით გათამამებული პარტიები ხშირად ყველაფერს ერთად კიდებენ ხელს და ყველაფერში საჯარო ხელისუფლება უნდათ ჩარიონ ხოლმე; ისინი ივიწყებენ ხშირად იმასაც, რომ არსებობს მთელი რიგი მეურნეო-

ბათა, ხადაც მომხმარებელს შეუძლია თვითონ, საჯარო ხელისუფლების დამოუკიდებლათ, მოაწყოს საქმე და საუკეთესოდაც წაიყვანოს იგი, ვინემ ეს ხდება ახლა, თუნდაც მისივე მონაწილეობით, სახელმწიფო და მუნიციპალურ მეურნეობაში; მით უფრო, რომ, როგორც აღნიშნული იყო, სახელმწიფოს და მუნიციპალიტეტს აქვთ ხშირად თავისი განსაკუთრებული ინტერესებიც, როგორც მწარმოებელთ ანუ წარმოების პატრონთ, და ეს ინტერესები ყოველთვის არ უჩიდება მომზარებლის ინტერესებს.

ამიტომ, როცა მწარმოებლის და მომხმარებლის ურთიერთობის მოწესრიგებაზე არის ლაპარაკი, ჩვენ არ უნდა გვავიწყდებოდეს სიკერძო ხასიათის, ურთიერთ დამბარების საფუძველზე მოწყობილი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მომხმარებელთა ინტერესებს საგანგებოთ რომ ემსახურებიან, სახელმობა, კოოპერატივები.

* * *

დიდი ხანია კოოპერაცია ფრიად საყურადღებო როლს თამაშობს განათლებულ ქვეყნების ეკონომიკურ ცხოვრებაში. იგი წარმოადგენს მუშაობის ერთ მნიშვნელოვან სახეს, რადგან ეს მოძრაობა სამ უმთავრეს ფორმაში გამოიხარება: პოლიტიკურში, პროფესიონალურში და კოოპერატიულში.

მართალია, კოოპერაციას მუშათა მოძრაობაში არ ეკუთვნის ისეთი გადამწყვეტი როლი, როგორიც მუშათა პოლიტიკურ პარტიას და პროფესიონალურ კავშირებს, მაგრამ მნიშვნელობა კოოპერაციის ეკონომიკურ ცხოვრების მოწესრიგებაში, მთლიანად აღებულში, ძალიან დიდია, განსაკუთრებით სოფლათ.

ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას ამ შემთხვევაში მომხმარებელთა კოოპერაცია იქცევს. მომხმარებელთა კოოპერატივები ემსახურებიან არა მარტო თავის წევრებს პირებს მოთხოვნილების საგნების ხელსაყრელ პირობებში მიწოდებით, არამედ—და ეს არის უმთავრესი—ისინი ხელს უწყობენ საზოგადოთ წარმოების მრავალ დარგის ორგანიზაციას მოთხოვნილების შესაფერისად.

მომხმარებელი საზოგადოებანი საქმეს იწყებენ სულ მცირე თანხით; ამიტომ იმათ შეუძლიათ გაერთიანება საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილის. საზოგადოების ეს ნაწილი პირდაპირ მონაწილეობას იღებს თავის ამხანაგობის საქმეებში, უმუალოდ ჩაბმულია იმის ყოველდღიურ საქმიანობაში და ამიტომ უფრო დაინტერესებულია იმით, ვინემ, მაგალითად, სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ მოწყობილ მეურნეობით, რომელშიც იგი მონაწილეობას იღებს მხოლოდ სახალხო წარმომადგენლების სამეცნიერო მიერ.

სანამ მომხმარებელი ამხანაგობანი პატარა განცალკევე-

ბული ერთეულებია, ისინი შეუმჩნეველი არიან, მაგრამ გაერთიანებული კავშირებში მომხმარებელთა კოოპერაცია დიდ სოციალურ ძალას წარმოადგენს. ასე, თუ გავიხსენებთ, რომ ზოგიერთ ქვეყნებში მომხმარებელთა კოოპერაცია აკავშირებს (ოჯახის წევრთა მითვლით) მოსახლეობის 50—70 პროცენტს. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დიდს მყიდველობით ძალას უნდა წარმოადგენდეს იგი ამ ქვეყნებში. დაყრდნობილი ასეთ დიდ და შეკავშირებულ მყიდველობითი ძალაზე, მომხმარებელ ამხანაგობათა კავშირები ხშირად აწყობენ თავის საკუთარ წარმოებას, სულ სხვადასხვა დარგში, და როგორც ქალაქის მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში.

განსაკუთრებულ ყურადღების ღირსი აქ ის არის, რომ ყველა ამ წარმოებათა საქმიანობა შეფარდებულია კოოპერატივების წევრთა მოთხოვნილებასთან; საქონელი აქ მხადდება არა უცნობ და გაურკვეველ ბაზრებისთვის, არამედ განსაზღვრულ და წინასწარ გათვალისწინებულ მომხმარებლისთვის, თავის საკუთარ წევრებისთვის, რომელთა მოთხოვნილებას, გემოვნებას და შესაძლებლობას კოოპერატიული წარმოება კარგად იცნობს. აქ «მწარმოებელი» კი არ უპირდაპირდება «მომხმარებელს», არამედ წარმოება მთლიანად მომხმარებლის განკარგულებაშია. აქ წარმოებას განვიხებს მომხმარებელი. ამიტომაც კოოპერატიულ წარმოებაში კრიზისი უფრო იმკითა მოვლენას წარმოადგენს, ვინემ კაპიტალისტურ წარმოებაში.

მომხმარებელთა და მწარმოებელთა ასეთ ორგანიზაციის და გაერთიანების ნიადაგზე სრულიად ბუნებრივათ ისახება ის «პლანიც», ის «დაგეგმული მეურნეობა», რომლის მოწყობა ზევიდან მოცემულ განკარგულებებით და ბიუროკრატიულ წესით, როგორც დაენიჭახოთ («ხევნი დროშა» № 5), არც საზოგადოებას აქმაყოფილებს, ვერც დანიშნულებას აღწევს და სახელმწიფოსაც ძეირათ უჯდება. დაკვირვებაც იმას მოწმობს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც კოოპერატიული მოძრაობა უაღრესად განვითარებული იყო, «შავი ბაზრი» სასურსათო კრიზისის დროს ფეხს ვერ იყიდებდა (მაგ. ინგლისში), როგორც სხვაგან.

თუ სოციალისტურ მეურნეობის უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი წარმოების მოთხოვნილებასთან შეთვისება უნდა იყოს, «მწარმოებლის» და «მომხმარებლის» მორიგება, ამ დანიშნულებას ჯერ-ჯერობით და ახლანდელ პირობებში მომხმარებელთა კოოპერაციაზე—მასთან დაკავშირებულ წარმოების სახით—უკეთესად ვერც მუნიციპალური და ვერც სახელმწიფოს მიერ მოწყობილი მეურნეობა ვერ ემსახურება. მართალია, კოოპერატივები კერძო საკუთრების და აწ არსებულ ეკონომიურ ურთიერთობის ნიადაგს არ სცილდებიან, მაგრამ სოციალისტურ მეურნეობის წინამორბედნი მაინც ესენი უფრო არიან, ვინემ სახელმწიფო და მუნიციპალური

მეურნეობანი; უკანასკნელი ხშირად იძულებითი უფლებას უფრო ეყარებიან, ვინემ თავისუფალ თანამშრომლობის პრინციპს, და მოგებითაც ხშირად კერძო წარმოებაზე არა ნაკლებ არიან დაინტერესებული. ამიტომ მათი წარმოება ხშირად კაპიტალისტურ წარმოების ხასიათს იღებს («სახელმწიფო კაპიტალიზმი»), ისინი ხშირად ვარდებიან «ერატიზმში», «სახელმწიფო სოციალიზმში», რომლის წინააღმდეგ მუდამ იბრძოდენ სოციალისტები და დემოკრატები.

«როცა კომპერაცია საქმარისად განვითარდება — სწერა და კ. კაუცი — სახელდობ, როცა რომელიმე ქვეყანაში არსებული ადგილობრივი ამხანაგობანი ერთ დიდ შემყიდველ კომპერატივში გაერთიანდებიან, ამ უკანასკნელს საშვალება ეძლევა თვითონ დამზადოს ის საქონელი, რომლის გამყიდველი თითონევე იქნება. არსებითად ჩევნ წინ უკვე სოციალისტური მეურნეობაა, რადგან იგი ამზადებს საქონელს არა ბაზრისთვის, არამერა თავის საკუთარ წევერების მიერ მოსახმარათ, და დაარსებული არა მოგების მისალებათ, იგი უქმნის მუშებს მუშაობის ისეთ პირობებს, რომლის ატანა საქმისთვის არსებულ პირობებში მი შესაძლებელი კი იქმნება» (იტ. დასახელებული წიგნი).

მოგების საკითხი კომპერატივში წყდობა არა წევრისაგან განკუნებულათ, ეს იგი, მხოლოდ საქმეში ჩადებულ საამხანაგო თანხასთან (პაისთან) დაკავშირებით, როგორც ეს ხდება საქციონერო ამხანაგობაში, არამედ იმის მიხედვით, თუ რამდენათ ამხანაგობის წევრს აქტიური მონაწილეობა მიუძღვის ამ მოგების შექმნაში: რამდენის საქონელი შუიდია იმას კომპერატივში, ან რამდენი უმუშავნია იქ. ან თუ რამე სხვა სამსახური იმისთვის გაუწევია. ამიტომ «მოგებას» კომპერატივში არც უყურებდენ, როგორც ჩვეულებრივ კომერციულ მოგებას ან სარგებელს იქ ჩადებულ თანხაზე, არამედ მოგებას აქ უყურებენ, როგორც ანაზღაურებას, ანუ უკან დაბრუნებას, წევრის მიერ კომპერატივში საქონლის საყიდლათ დახარჯულ თანხისა ან იქ გაწეულ შრომის ერთი ნაწილისას.

მუშათა საკითხის მოწესრიგებაც შესაძლებელია კომპერატივში ხდებოდეს სხვა წესით — და მრავალ შემთხვევაში ეს ასეც არის — ვინემ კაპიტალისტურ ან თვით სახელმწიფოს ან მუნიციპალურ მეურნეობაში. კომპერატიულ მეურნეობაში უველა მუშას შეუძლია იმავე დროს იყოს იმის პატრიონიც, როგორც კომპერატივის წევრი (ეს ყველასთვის ხელმისაწილია) და, მაშესადამე, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს იმის საქმეების წაყვანაში, ხელფასის და ჯამაგირების დაწესებაში, მოგებას განაწილებაში. და თუ წლის განმავლობაში საქმის ინტერესი მოითხოვდა, რომ მას, როგორც მუშას, ნაკლები ხელფასი მიეღო, წლის დამლევს საქმეშ თუმოგება დატოვა, ამ მოგებას იგი მიიღებს, როგორც წევრი კომპერატივისა.

კონკრეტული კერძო ხასიათის ორგანიზაციები, როგორც კერძო ხასიათის ორგანიზაციები, ჩამოყალი არიან ხაერთო კონკურენციაში, არავითარ უპირატესობით ისინი არ სარგებლობენ და ამიტომ იძულებული არიან საქმე ყოველმხრივ ისე კარგად დააყენონ, რომ კერძო მესაკუთრეთა კონკურენციას გაუძლონ. სახელმწიფო და მუნიციპალიტეტები კი, წინააღმდეგ, სარგებლობენ თავის განსაკუთრებულ უფლებით და მრავალგვარ პრივილეგიას აწესებენ ჩშირად თავის მეურნეობის სასარგებლოთ, თვით მონოპოლიურ ხასიათის მინიჭებამდის; ამიტომ საქმის წაყვანაში ეს უკანასკნელი ჩშირად უფრო ჩამორჩენილი არიან, ვინემ კერძო წარმოებანი და რასაც თავისუფალ კონკურენციის ნიადაგზე ვერ ახერხდენ, ხელისუფლებით გააქვთ; ეს კი არ ხდება ყოველთვის მომხმარებლის სასარგებლოთ.

დასასრულ, კიდევ ერთი დამახასიათებელი გარემოება. კონკრეტული კონკრეტული ხასიათის დაწესებულებაა; ხოლო იმის თითოეული წევრი მესაკუთრეა ამ დაწესებულების ქონების რაიმე ნაწილის და ამ «მესაკუთრეობას» უფლების განხორციელება მას შეუძლია ყოველ წუთში, რადგან თავისუფლად შეუძლია გამოტანა იქიდან თავისი ნაწილის; სახელმწიფო და მუნიციპალური წარმოებაც საზოგადოებრივი ხასიათის დაწესებულებაა და უფრო ფართოც, ვინემ კონკრეტული კონკრეტული, მაგრამ იმათი ქონება ეკუთვნის საერთოდ და განუყოფელად მთელ საზოგადოებას, ხალხს უსახელოთ, და თითოეულ წევრს საზოგადოებისას ცალკე არ შეუძლია, სხვა ბიდან განცალკევებულათ, თავისი უფლება «მესაკუთრისა» განახორციელოს, თავისი წილის გამოტანა მოითხოვოს. აქ მისი კერძო უფლება საჯარო უფლებით არის შეზღუდული; ამიტომ ცალკე მოქალაქე აქ არც გრძნობს თავს «მესაკუთრეთ». ეს განსხვავებაც თვალსაჩინო როლს თამაშობს თანამედროვე საზოგადოების ფართო წევრების თვალში, რომ მათ კონკრეტული უფრო ჩათვალონ «თავის საქმეთ» და მეტის ზრუნვით მოვცყრან იმას, ვინემ სახელმწიფო ან მუნიციპალურ მეურნეობას.

კონკრეტული მოძრაობა არსებითად ისეთივე მტერია კაპიტალისტურ წესწყობილების, როგორც სოციალისტური მოძრაობა და მუშათა პროფესიონალური კავშირები; ხოლო კონკრეტული ცდილობენ ამ წესწყობილების შეცვლას არა რევოლუციონურ ბრძოლით, არამედ მშვიდობიანი გზით, კაპიტალისტურ მეურნეობის გვერდით საკუთარ მეურნეობის მოწყობით და იმის სულ სხვა, უფრო სამართლიან, პრინციპებზე დამყარებით. ამიტომ კონკრეტულ მოძრაობის ირგვლივ თავს იყრიან საზოგადოების ფართო წევრები, როგორც სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიის ხალხი, ისე უპარტიონი. დამახასიათებელია ისიც, რომ კონკრეტულია ფრიად თვალსაჩინო ადგილი უჭირავს იმ ქვეყნების სახალხო მეურნეობაში, სადაც სოციალური რეფორმები ვითარდებოდა და-

მოკრატიული გზით, ევლოლიუციურ ეტაპებით უფრო, ვინებ რევოლიუციურ ზომებით და სახელმწიფოს აღმინისტრაციის ჩარევით საზოგადოების ყოველდღიურ ეკონომიკურ საქმიანობაში: ინგლისში, დანიაში, შვეიცარიაში, შვეიცარიაში და სხვაგან.

Дъгурма амбънагъма арц კი იცის—სწერდა ამას წინათ ერთი ფრანგული სოციალისტური უზრნალი—თუ რას ეიშნავს ის სამი ისარი, ჩვენი პარტია ალянցორით რომ ატარებს; ეს იმას ნიშნავს, რომ თითოეული ისარი უკარნახებს მებრძოლს (პარტიის წევრს) თავის მოვალეობას: იყოს სოციალისტი, სინდикалістი და კომპერატორი («Dimanche-Populaire» № 45—1949).

მართლაც, შესაძლებელია, რომ სოციალურ სტრუქტურის მიერ კოოპერაციას ყოველგან არ ეცემდეს ახლა ის ყურადღება, რომლის ღირსია იგი ამ ეკონომიკურ არეალზე გვიჩვრის ხანაში. ეს ძალიან სამწუხაროა. თუმცა კოოპერაცია ვერ დაფარავს საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრების ყველა მოთხოვნილებებს—სახელმწიფოს და მუნიციპალიტეტის როლი ამ სფეროში უფრო დიდია—მაგრამ მომხმარებლის და მწარმოებლის ურთიერთ დამოკიდებულების გაუმჯობესებისთვის კოოპერატიულ მოძრაობის მნიშვნელობა მაინც უდიდესია და, რაც უმთავრესია, კოოპერაცია აჩვევს ხალხს თვითმოქმედებას საზოგადოების ცხოვრების ყოველ დარღვით და ადამიათა თავისუფალ კავშირის ნიაღვებზე საზოგადო ინტერესების დაცვას. ასე უყურებდენ ძველათ კოოპერაციას დემოკრატიულ სოციალიზმის ყველა ბელადები: ბებელი და გედი, უორესი და კაუციკი, სხვებიც; ეს ხელს არ უშლიდა იმას, მეორე მხრით, რომ კოოპერატიულ მოძრაობას თანაგრძნობით მოყორობოდენ ქრისტიანულ თუ სხვა სარწმუნოების წარმომადგენელები და მრავალგვარ პემანიტარულ საზოგადოებათა შიმდეგარნი.

ხოლო მას შემდეგ, რაც ფართო სახელმწიფო ბრიფი—
პოლიტიკური მოღვაწეობა ხელმისაწვდომი გახდა ხალხის
ფართო წრეებისთვის, ამ უკანასკნელთა ენერგიის მრავალ
ქვეყანაში თითქმის სავსებით პოლიტიკური ასპარეზი იკ-
ურობს, საპარლამენტო მუშაობა, სახელმწიფო და ადგილო-
ბრივ ორგანიზაციები; საზოგადოების შთავაზრი ყუ-
რადღება პოლიტიკურ პარტიების მიერ აქტუეს არის მიქ-
ელიშვილი.

ესინ იტყვის, რომ ეს საჭირო არ იყოს? პროგრესიული კანონმდებლობა და დემოკრატიის მიერ სახელმწიფო მმართველობის ხელში აღება უდიდესი სამკაულებია საუკეთესო მომავლისთვის ბრძოლაში საზოგადოო და კონსოლიდირ მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის კერძოთ. მეგრამ ეს არ არის ყველაფერი. პოლიტიკა მხოლოდ ერთი საშეალებათაგანია საზოგადოების კეთილდღეობის გაუმჯობესებისთვის და იმდენათ სასარგებლო და ნაყოფიერი, რამდენათ იგი ამ დანი-

შნულებას. ემსახურება თვით საზოგადოების თვითმოქმედებაზე და იმის თავისუფალ ორგანიზაციებზე დამყარებით. ეს რომ ასე არ იყოს, მომავალი მართლაც ტოტალიტარულ სახელმწიფოების იქნებოდა. თავისი პოლიტიკური იდეოლოგია საყველოთაო და სავალდებულო «მრწამსათ» რომ გახდეს და სახელმწიფოს ბიუროკრატიული მმართველობა კერძათ, რომლის საკურთხეველზე მიტანილია მსხვერპლათ პიროვნების თავისუფლება და ადამიანის ყოველგვარი თავისუფალი შემოქმედება.

ბ. პ.

მუშათა და გლობთა მოძრაობა საჩართევლოში¹⁾.

1903 წელი.

ამიერ-კავკასიის მუშათა მოძრაობა თანდათან იპყრობს არა მარტო რუსეთის, არამედ ევროპის ყურადღებასაც. უკანასკნელ ამბებმა ბაქოს, თბილის და მიხაილოვის (ხაშური) მუშათა მოძრაობის გამო ევროპის პრესამ ყურადღება კიდევ ერთხელ მიაპყრო ჩვენს ქვეყნას.

რადგანაც ამ მოძრაობის უმთავრესი სარბიელი საქართველოა და ევროპის უურნალ-გაზეთობას დღემდის ვერ შეუდგენია ნამდვილი აზრი ამ საგანძნე, ამიტომ უადგილო არ იქნება ჩვენს მკითხველებს მოკლედ გავაცნოთ ჩვენებური მუშათა ორგანიზაციები და მათი მოქმედება.

პირველი მუშათა სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი დაარსდა თბილისში 1898 წელს. კომიტეტის ინტელიგენციი წევრები (ყველა ქართველები) უმთავრესად აარსებდნენ შუშათა წევრებს და სიტყვიერად ავტორულებდნენ თანამედროვე სოციალისტურ აზრებს, როგორც მაგალითად, კლასთა ბრძოლა, ზედმეტი ლიტებულება, მუშათა სოლიდარობა და სხვა. იმ დროს კომიტეტის განკარგულებაში არც თავისუფალი სტამბა იყო და არც რაიმე პროკლამაცია გამოუციათ. მუშებში კითხულობდნენ რუსულ არა-ლეგალურ ბროშურებს და რადგანაც ძალიან ბეჭრს რუსული არ ესმოდა, იქავე ქართულად ითარგმნებოდა და ქართულადვე ვრცელდებოდა. თბილისის სომხებმა ქართული კარგათ იციან და ამიტომ წრები შეიცავდა ორთავე ეროვნების მუშებს, უფრო მეტს კი—ქართველებს, რადგან თბილისში ქართველი მუშა რიცხვით მეტია. 1899 წ. კომიტეტმა გამოსცა პირველი დაბეჭდილი პროკლამაცია ქართულად. ეს იყო პირველი სოც.-დემოკრატ. პრო-

¹⁾ ეს წერილები ეკუთვნის ნ. ეორდანიას, რომელიც გამოქაცა გადასახლებას 1903 წ. და მოვიდა პარიზში, სადაც გაიგო სოც.-ფედერალისტების უურნალის—«საქართველოს-ს არსებობა და გადასცა მას დასაბეჭდათ (№ 5, 6, 7 და 8). რედ.

კლამაცია არა მარტო თბილისისათვის, არამედ, საზოგადოდ, ამიერ-კავკასიისათვის. პროკლამაცია ეხებოდა პირველ მაისის დღესასწაულს და ურჩევდა მუშათა დღის დღესასწაულობას *). პროკლამაციას ავტოლებდენ უმეტესად წრებში, რა-დაცანაც არ სურდათ მიექციათ ყურადღება ქანდარმების, რო-მელთაც ამ მოძრაობისა არაფერ გაეგოთ და არხეინათ ბრძან-დებოდნ. ამავე წელს მოხდა პირველი მაისის დღესასწაული ქალაქს გარეთ. დღესასწაულს დაესწრო არა უმეტეს ასი კა-ცისა, წაკითხულ იქნა ეს პროკლამაცია, წარმოითქვა სიტყვე-ბი და სარევოლიუციო სიმღერებით დაიშალენ. ამ დღესას-წაულმა ძლიერ დააინტერესა წრებს გარეშე მყოფი მუშები და საყვეფურები დაუშეს მოწინავე მუშათ, რატომ ჩვენც არ ჩაგრივთ ამ საქმეებშიო. მუშების ცნობის მოყვარეობა ალი-ძრა, წრები სოკრასვით გამრავლდა, ასე რომ საჭირო შეიქნა აგიტატორ-ინტელიგენტთა გამრავლება, განსაკუთრებით სო-მეხი ინტელიგენტების მომხრობა, ესენი, სამწუხაოდ, ძლი-ერ წინააღმდეგი იყვნო (და დღესაც არია) ამ მოძრაობისა. ისინი ამბობდნ: ჩვენი ერთადერთი საქმე რსმალეთის სო-მეხთა კითხვის გადაჭრაა, მთელი აუზი ძალა იმას უნდა მო-გახმაროთ, მიუხედავათ ამ ცალმხრივი შეხედულობისა ალ-მონიდა ერთი განათლებული სომეხი, რომელ მაც შეადგინა სომხის მუშათა წრები და კომიტეტშიაც შევიდა. იმავე 1899 წელს მოხდა თბილისის რკინისგზის მუშათა დიდი გაფიცვა წინააღმდეგ გზათა მინისტრის ახალი ცირკულიარისა, რომე-ლიც მუშებს და წვრილ მოხელეებს ძალიან ავიწროებდა. გა-ფიცვა მოიგეს ერთიანად, მინისტრმა ცირკულიარი უკან წა-ილო და გამოაცხადა, ძველი წესები ისევ რჩება ძალაში დღეს მთელი იმპერიისათვისო. ამნაირათ, თბილისის მუშებმა და-იფარეს მთელი რუსეთის რკინისგზის მუშები. ეს იყო პირვე-ლი თიდი ნაბიჯი. ამ გარემოებაზ კიდევ უფრო წაახალისა მუშები და გააძლიერა მუშათა ერთობა.

1900 წ. კომიტეტმა გადაწყვიტა პირველი მაისის დღესას-წაული კიდევ ქალაქს გარეთ. პროკლამაციები არ ყოფილა. დღესასწაული მოხდა კვირა დღეს, ქალაქიდან რვა ვერსხე, სადაც თავი მოიყარა ხუთასმა მუშამ. წითელი დროშა მარქ-სის, ენგელსის და ლასალის სურათის ხის ტოტზე ფრიალებ-და. გზებზე დაყენებული იყო რამდენიმე დარაჯი ცხენებით, რომ პოლიციელთა მოახლოება საჩქაროდ ეცნობებით. მარა მთავრობა ჯერ კიდევ ძილში იყო. დღესასწაული ჩინებულათ ჩაიარა. წარმოითქვა მრავალი სარევოლიუციო სიტყვები, წაკითხეს წინა წლის პროკლამაცია პირველ მაისობაზე, რა-მაც აღტაცებაში მოიყვანა მუშები (წელს ეს პროკლამაცია

* ეს პროკლამაცია დაწერილია ნ. ქორდანიას მიერ.

შეღრეთ გამოსცეს). აქეე გადასწყვიტეს, აწ გვეყოფა ჩუმ-ჩუ-
 მათ დღესასწაული, მომავალ წელს ქუჩაზე გავიღეთ. იმავე
 1900 წელს ზაფხულში მოხდა მეორე დიდი გაფიცვა თბილის-
 ში რეინისგზის მუშებისა, რაც გათავდა მუშების დამარცხე-
 ბით. მარა ამ დამარცხებამ თვალსაჩინოდ დაანახვა მუშებს,
 რომ სანამ თვითმპურობელობა არ დაიმხობა, მანამდის მუ-
 შათა საქმე წინ ვერ წავა. ამ გაფიცვის დროს პირველად იქმნა
 გამოყვანილი ჯარი. მთავრობამ მთელი თავისი ძალა მუშათა
 წინააღმდეგ აამუშავა, ლამ-ლამობით დათარებობდენ ყაზახე-
 ბი მუშათა უბნებში და ატყვევებდნენ მძინარე მუშებს. ამავე
 დროს კომიტეტმა გამოსცე მრავალი პროკლამაციები ქარ-
 თულად და რუსულად. ჯარმა თავისი გაიტანა, დატყვევეს
 რვასი საუკეთესო მუშა, ჩასვეს საგანგებოდ მათთვის გამო-
 წერილ მატარებელში და უანდარმთა წინამდლოლობით გაგზა-
 ვნეს დასავლეთ საქართველოში (ისინი ქუთაისის უბერნი-
 იდან იყვნენ) და დაარიგეს თავთავიანთ სოფლებში პოლიციის
 მხედველობის ქვეშ. მუშაობა გაჩერებული იყო ორი კვირა,
 კრინისგზამ ბეჭრი იზარალა, მაგრამ რეინისგზის უფროსმა
 ვედენებმა თავისი გაიტანა. მან წინდაწინევ თქვა: მთელ ჩემ
 ქონებას გადავდებ (მილიონერი იყო) და მუშებს გავსტეხო. მუშაობა
 დაიწყეს, მარა მუშები საქმაო არ იყო. მაშინ ვედე-
 ნებმა გადაწყვიტა, ადგილობრივ მუშებს არ მივიღებ და რუ-
 სეთიდან გამოვიწერო. და მართლაც ქალაქ ვლატიმირში შეს-
 თვალა გამოეგზავნათ რეინისგზის მუშები და დიდი ქირაც
 აღუთქვა, მარა იქაურ მუშებმა, როცა გაიგეს საქმე რაში იყო,
 უარი თქვეს წამოსელანე და სხვა ქალაქების მუშებიც გააფრ-
 თხილეს, არ წახვიდეთ. ამნაირათ, ვედენევი იძულებული
 გახდა სოფლებში დაგზავნილი ქართველი მუშები ისევ უკან
 დაებრუნებინა და სამუშაო მიეცა. სამაგიეროთ, მან შემდეგ
 შემოილო მისალები ეგზამენი... რუსული ენისა! მუშას გამო-
 ცდიდნენ რუსულ ლაპარაკში და თუ არ იცოდა, არ ლებულო-
 ბდენ და ამით ვითომ სურდა ქართველ და სომეხ მუშათა რი-
 ცხი შეემცირებინა რეინისგზაში. სამაგიერო მასაც გადაუ-
 ხადეს, ერთი წლის შემდეგ ვედენევი მოკლულ იქნა თოფით
 თავის სახლში. მკვლელი ვერ აღმოაჩინეს.

იმავე 1900 წ. მოხდა გაფიცვა კონკის კონტუქტორებისა
 და ქუჩრებისა, თუთუნის ფაბრიკაში, სტამბებში და მრავალ
 სხვა ფაბრიკა-ზავოდებში. ამ გარემოებამ გამოაღვიძა ადგი-
 ლობრივი მთავრობა და უანდარმებიც შეუდგენ მუშა-აგიტა-
 ტორების ძებნას. ამავე დროს კომიტეტში შევიდენ რუსი ინ-
 ტელიგრაფები და ამათაც დაიწყეს მუშა რუსების წრების
 დაარსება (წინეთ მათ შორის ქართველები მოქმედებდნენ).
 დაიბეჭდა რამდენიმე სოციალ-დემოკრატ. არა-ლეგალური
 წიგნაკი ქართულად. პროპაგანდა გადაიქცა აგიტაციათ. პირ-
 ველი წმინდა პოლიტიკური პროკლამაცია გამოიცა 1901 წელს
 და მოიწოდა თბილისის მუშა-ხალხი სამაისო დემონსტრაცი-

ის მოსახთენათ შუა-ქუჩაში. პროკლამაცია დაიბეჭდა ქართულად და ოუსულად (სომხურად, სამწუხაოდ, კიდევ ვერ მოხერხდა). მთავრობა ფიქრობდა ხალხის დატყვევებით დემონსტრაციის აცილებას. დაიჭირეს სილ. ჯიბლაძე, ფილმაზარაძე და ფრანგესკო, —«კვალი»-ს თხამშრომელი და გახტოვეს თვით რედაქცია. დაიჭირეს აგრეთვე მუშები ერასტო ჩანტლაძე, ვლად. ჯიბლაძე. კურნატოვსკი (ინტელიგენტი) და სხვანიც. შიუშედავათ ამისა ოცდაორ პერილს თბილისის მოედანზე თავი მოიყარა სამიათას მუშამ, ააფრიალა წითელი ტროშა და იგრიალა «ძირს თვითმყრობელობა, გაუმარჯოს თავისუფლებას!» მოხდა დიდი შეტაკება ჯარსა და მუშებს შორის. ერთმა მუშამ—ლევონტი მამალაძემ რევოლუციონ დასკრა პოლიციელი. ორივე მხრით ბევრი გაიღახა, არავენ მომკვდარა. დაიჭირეს ბევრი, ამათგან ოთხი მუშა გადაასახლეს რუსეთში, დანარჩენები გაუშვეს. აი ამ დემონსტრაციიდან იწყება კავკასიის მუშათა მოძრაობის ოფიციალური წელთ-აღრიცხვა. ამ ამბავმა დიდად გააოცა ჩვენებური მიძინებული «ხაზოგადოება» და გააბოროოტა მთავრობა. მან ხელი მიჰყო დატყვევებას. დემონსტრაციის შემდეგ დაიჭირეს «კვალი»-ს ფაქტიური რედაქტორი ნოე უორდანია, თანამშრომელი: გიგო წულუკიძე, სევერ. ჯულელი, რაუ. კალაძე, გაჩჩრიკეს: ნიკო ელიავა, იროდ. ევდოშევილი—ერთისიტყვით, ყველა, ვინც კი თანამშრომლობდა გახეთში. დაიჭირეს აგრეთვე მრავალი მუშა. ამ ტერორმა ვერ დააშინა ვერც ინტელიგენტები და ვერც მუშები. პირიქით, ამ დღიდან კიდევ უფრო გაძლიერდა მოძრაობა, თბილისიდან გადავიდა სხვა ქალაქებში და სოფლებში და მიაღწია იმ საფეხურამდის, როგორათაც დღეს ვხედავთ.

ეს გავრცელება მოხდა შემდეგ ნაირათ:

1900 წლის გაფიცვის შემდეგ რამდენიმე მოწინავე მუშა და ინტელიგენტი იძულებული გახდა თბილისის პოლიციას დამალოდ და გადავიდენ ზოგი ბაქოში და ზოგი ბათომში. ესენი სულ ყველა ქართველები იყვნენ. პირველად იმათთვის ძნელი შეიქნა მოქმედება ბაქოში, სადაც მუშათა მომეტებული ნაწილი, სომხობა და თათრობაა. მიუხედავათ ამისა, ამათ, ჩვეულებრივად, მიმართეს ბაქოს რკინისგზის მუშებს, რომელთა შორის ბევრი ქართველებიც არის. აქ დაარსდა რამდენიმე წრე. 1901 წელს, როცა თბილისში დემონსტრაცია მოხდა, ბაქოში ძლიერ სამოცი მუშა შეიკრიბა ქალაქს გარეთ მაისობის სადლესასწაულოთ. მარა შემდეგ თბილისის ამბების ზეგავლენით და ზოგი ადგილობრივი სომხ-ინტელიგენტთა დახმარებით მუშათა მოძრაობა სწრაფად განვითარდა და ბაქოც ამოუდგა ვერდით თბილის და ორივე ერთათ შედგენ სარევოლიუციო გზანე.

უფრო ადვილი შეიქმნა მუშათა ორგანიზაცია ბათომში. აქ მუშების ცხრამეათედი ქართველობაა, განსაკუთრებით გუ-

რიდან, საიდანაც გამოდიან მოწინავე რევოლუციონერთა უმრავლესობა მთელ ამიერ-კავკასიისა. ასე რომ გზადაბეჭული ადგილობრივი მთავრობის თვალში გურული და რევოლუციონერი ერთიდაიგივეა. ბათომში მუშებმა ჩქარა შეითვისეს სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდა, და ერთბაშათ დაადგენ როგორც გაფიცვების, ისე პოლიტიკურ გზას. ყველამ იცის ბათომელ მუშათა შეტაკება შეიარაღებულ ჯართან დატყვევებულ ამხანაგების გამოსახსნელად, რასაც მოყვა მუშების დახოცვა 1902 წელს მარტში. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გადაუმტერა მუშები მთავრობას. აյ ერთობ ხშირია გაფიცვები, ასე რომ როტშილმა კითხვა ალძრა თავის ზავოდების სათათრეთში გადატანის შესახებ. იმავე წელს როტშილდი აიძულეს მუშებმა ყველა ის ჯარიმები, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში მუშებს გადაახდევინეს, უკრწევ დაებრუნებია. ასევე მოითხოვეს მანთაშევის ზავოდის მუშებმა, დაბრუნებული ფულის უმეტესი ნაწილი გადავიდა მუშათა კომიტეტის კასაში. აქაური კომიტეტი, რომელიც მხოლოდ ქართველებიდან შესდგება, ძლიერ მხნეთ და ერთგულად ეკიდება საქმეს. ეგვევ კომიტეტი მეთაურობდა დღემდის გურიის გლეხთა მოძრაობას. ეს მეთაურობა ამჟამად იტვირთა ამ ერთი თვის წინეთ დაარსებულმა გურიის გლეხთა სოციალ-დემოკრატიულ კომიტეტმა, რომლის წევრები გლეხებია. რამდენათაც ვიცით, ეს პირველი გლეხთა სოციალ-დემოკრატიული ოქანიზაცია მთელ რუსეთის იმპერიაში.

უმთავრესი ნაკლი კავკასიის მუშათა მოძრაობისა ის იყო, რომ კომიტეტები ერთმანეთთან არ იყვნენ დაკავშირებული და ცალ-ცალკე მოქმედებდნენ. ახლა ეს ნაკლულევანება-აკილებულია. წელს კომიტეტების წარმომადგენლები შეიკრიბენ და დაარსეს «ცენტრალური კავშირი კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა» - «კავშირში» აარჩიეს ათი წევრი, ამაში ორი სომხეთი, რვა ქართველი. «კავშირი» უმაღლესი ორგანო და განაგებს მთელ ამიერ-კავკასიის მუშათა მოძრაობის საქმეს. ადგილობრივი კომიტეტები მას ემორჩილებიან. «კავშირის» მოვალეობაა ზრუნვა ლიტერატურაზე, ორგანოების და წიგნების გამოცემა (ქართულათ და სომხურათ) და ს., რისთვისაც მის განკარგულებაშია თვეში სამასორმოცდაათი მანეთი. «კავშირის» პირველი აქტი გამოიხატა სამაისო დღესასწაულებში. წელს მისი განკარგულებით ერთ დღეს (27 აპრილს, კვირას) უნდა მომხდარიყო დემონსტრაცია ბაქოში, თბილისში და ბათომში, მარა ბათომლებმა არჩიეს 19 აპრილს (პირველი მაისი ახალი სტილით) მუშაობის შეჩერება, ხოლო ბაქო-თბილისში. სადაც მუშაობის საერთო შეჩერება შექმლებელი იყო, დემონსტრაციის მოხდენა დანიშნულ დროს, რაც როგორც იცით, კიდევაც მოხდა. ბათომში კი 19 აპრილს ყველა ზაოდებში, ფაბრიკებში და ასე გასინჯეთ, წვრილ სახელოსნოებშიაც კი

მუშაობა გაჩერებული იყო. ეს პირველი მაგალითია არა თუ საქართველოში, არამედ მთელ რესეტში. იგივე «კავშირი» ხელმძღვანელობს ასლანდელ ბაქო-თბილის-მიხაილოვს საერთო გაფიცებს.

«კავშირის» ორგანოებია: ქართული «ბრძოლა» (გამოვიდა ხუთი ნომერი) და სომხური «პროლეტარიატი» (გამოვიდა ორი ნომერი). ორივე განხეთი იბეჭდება ადგილობრივათ და ნომერი შეიცავს არა ნაკლებ 16 გვერდისა. «კავშირმა» შეიმუშავა თავისი პროგრამა, პროგრამის პოლიტიკურ განყოფილებაში შეტანილია ამიერ-კავკასიის ავტონომია, პარლამენტით თბილისში. ამ პროგრამას წარუდგენს სრულიად რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის კონგრესს განსახილებათ.

იყნისში პეტერბურგის პოლიციის დეპარტამენტის განჩინებით ათი კაცი გადასახლეს ციმბირში, აი ამათი გვარები: ფრანჩესკო, კურნატოვსკი, ყარაჯვი, ვარდოიანი, ჯიბლაძე, ცაბაძე, გოგუა, ხოდრიშვილი, მგელაძე და ჩანტლაძე.

გადასახლეს ნოე ეორდანიაც, მარა ის გამოეპარა პოლიციას და ამჟამად საზოგარ-გარეთ იმყოფება.

რაც შეეხება ადგილობრივ კომიტეტებს, მათი რიცხვი ამჟამათ ოთხია: თბილისის, ბათომის, ბაქოს და გურიის. მათ ხელშია ადგილობრივი კასები და განაგებენ ადგილობრივ საქმეებს «კავშირის» დაუკითხავათ. ყოველივე მათ შეცდომას, როგორც პრინციპიალურს, ისე ტაქტიკურს, «კავშირი» ასწორებს და ზრუნავს მთელი მოძრაობა ერთ კალაპოტში მიმდინარეობდეს. თბილისის კასის შემოსავალია თვიურათ რეას მანეთამდის, ბათომის—ექვსას მანეთამდის. ამდენივეა ბაქოსი. გურიის გლეხთა კომიტეტი ჯერ ერთი თვისა რაც არსებობს. არის აგრეთვე წერილ-წერილი კომიტეტები, მარა ამათ დიდი ძალა არ აქვთ ჯერ.

ბათომის და გურიის კომიტეტს შეადგენენ ქართველები, თბილისისაშია ერთი სომები, დანარჩენი ქართველებია. ბაქოში უმრავლესობა სომხებია. უნდა ითქვას, რომ სომხეს საუკეთესო ინტელიგენცია დღემდეს გულგრილათ უცურებს ამ მოძრაობას, ზოგან კიდევაც წინააღმდეგობას უწევენ და მუშებს უჩინიჩენ კომიტეტი არ იყო და სხვა. ერთ საუკეთესო სომხის რევოლუციონებრს ვკითხე რატომ არ გვეხმარებით-თქვა. მან მიპასუხა: ჩვენი საქმე (ას მალეთის სომხეთის კითხვა) დღიური კითხვაა, საცაა უნდა გადაწყვდეს, მეტე კი შეგვეძლება «თქვენ საქმეს» შევაწირ ჩვენი ძალაო. უკველია, ეს უნდა იყოს მიზნები, რომ კავკასიის სომხეთში—ერევნის და განჯის გუბერნიებში—დღემდეს არ არის მუშათა და არც გლეხთა მოძრაობა. დროა ჩუთერქ დენ ამ გარემოებას სომხები და შეიგნონ, რომ თავისუბავი რუსეთი უფრო დაეხმარება ასმალეთის სომხობას, ვინ თვითმპყრობელობა...

გლეხთა მდერაობა საქართველოში.

ბატონ-ყმობის მოსპობამ გლეხს მართალია მიანიჭა პირადი თავისუფლება, მაგრამ ამასთანევე ეკონომიურად მიჯაჭვა მემამულის თვითნებობას. მთელი მიწა-ადგილი იქნა ბატონის საკუთრებათ, ყმას კი დაუტოვეს იმდენი, რომ თავი მოეტყუილებინა «მესაკუთრე» ვარო და თავის სახლ-კარს არ მოშორებოდა, ე. ი. მემამულეს მიჯარადრე და შუშა ხელი არ შემცირებოდა. ამით გლეხს იძულებული შეიქნა თავად-აზნაურობის მამული შეემუშავებია და მასთან «თავისუფალ» ხელშეკრულობაში შესულიყო. სანამ ხალხი ცოტა იყო და მიწა ბევრი, მანამდის ხელშეკრულობა გლეხს არ აწევებოდა დიდ ტეირთათ. მაგრამ ამ უკანასკნელ ოც წელიწადში მცხოვრებთა რიცხვმა ძლიერ იმატა, გლეხის პაწია საკუთრება მრავალ მემკვიდრეთა შორის დანაწილდა და ასე გლეხის გაპროლეტარიატობის გზას დაადგა. მიწას ახალი დიდი ფასი მიეცა, იჯარის ალების მსურველი გამრავლდა და თავად აზნაურობამაც რენტას აუწია. ამასთანევე, როგორც გლეხს, ისე მემამულეს ახალ-ახალი მოთხოვნილება გაეღვიძა, რიგინი ტანთ-საცმელი, შეკოლები და სხვა ყველასათვის საჭირო გახდა. გადასახადები გამრავლდა, გლეხი იხდის როგორც თავის, ისე მემამულის სააღილ-მამულო გადასახადს. ამას გარდა, ყოველნაირი სასოფლო ბევრის და ხარჯების გამწევი მარტო გლეხობაა; ის აკეთებს გზებს, ინახავს სასოფლო კანცელარიას, შეკოლებს, იხდის ლედისათვის «დრამის» ფულს და სხვ. სოფლის ყველა ბატონები გლეხის სარჩენია. აი, ეს უკიდურესი მდგომარეობა აიძულებს გლეხს დასტოვოს თავისი სახლ-კარი და გადასახლდეს ქალაქებში დღიურ მუშათ.

ამნაირათ, ჩვენებურმა სოფელმა მოგვცა სოფლის და ქალაქის მუშები. პირველი შებმულნი არიან მემამულის მძიმე ულელში¹⁾, მეორენი—კაპიტალისტის. საჭირო იყო ეს მდგომარეობა მათ შეეგნოთ, რომ მოძრაობა დაწყებულიყო, და აი, როგორც, ალვნიშენეთ ზემოთ, ეს შეგნება პირველათ ქალაქის მუშებმა დაიწყეს. მუშათა მოძრაობამ თავისთვალ გამოიწვია გლეხთა მოძრაობა. ჩვენებურ მუშას და გლეხს-შორის მუდმივი კავშირი და მისვლა-მოსელაა. ქალაქელი და სოფელი დაკავშირებულია ერთმანერთათ ნათესაობით, სახლი-კაცობით, თანამემამულეობით და ბევრის საკუთრებითაც. ბევრ მუშას აქვს სოფელში პაწია ნაჭერი მიწა და სახლ-კარი. სადაც ხანდისხან მიბრუნდება ხოლმე; ბევრი კი-

¹⁾ ჩვეულებრივათ ჩვენებური გლეხი, მოჯარადრე, მიწის პატრონს აძლევს მთელი მოსავლის ნახევარს, ზოგან მესამედსან მეოთხედს, იშვიათად, ნაკლებს.



დევ დროებით მიდის სოფლიდან «ფულის საშოვარად» და რამდენიმე ხნის შემდეგ შინ ბრუნდება. ამას მიუმატეთ კიდევ მთავრობის პოლიტიკა: რევოლიუციონურ მუშებს სოფელი გზავნის «სახულათ» და ამით ხელს უწყობს რევოლიუციური მოძრაობის ქალაქიდან სოფელშიაც გადატანას. ერთისიტუვით, გლეხთა გაჭირებული მდგრმარეობა, ქალაქელთა და სოფელთა მჭიდრო კავშირი და მთავრობის გზა დაბნეულობა—აი რამ გამოიწვია საქართველოში გლეხთა დღევანდელი მოძრაობა.

მოძრაობა პირველად დაიწყო ყველაზე უფრო განვითარებულ და კულტურულ კუთხეში—გურიაში. 1902 წელს, ბათომს, როტუშილდის ზავოდიდან დაითხოვეს 465 საქეთესო მუშა, როგორც აგიტარორები და მუშათა მოძრაობის მეთაური. ამ გარემოებამ აადელვა ყველა ზავოდის მუშები და გამოატაცეს საერთო გაფიცვა. ამ საქმეში ჩაერია მთავრობა და დაატყვევა მოწინავე მუშები. რამდენიმე ათას მუშამ გასწია სატუსალოსაკენ და მოინდომა ტყვეთა ძალათ განთავისუფლება. აქ აკუდა ხელჩართული ბრძოლა მუშებსა და ჯარს შორის, რის შედეგი იყო 15 მუშას მოკვლა და ბევრის დაჭრა. მეორე დღეს 300 საქეთესო მუშა სოფლებში დააგზავნეს. უმარველესობა გურულები იყო. ბათომის სისხლის ლეტის ამბავი მოედვა მთელ გურიას და გლეხები ააბობოქრა. გამოგზავნილი მუშები შეუდგენ პროპაგანდას თავიანთ სოფლებში და გლეხებს ჩააგონეს თავისი აზრები. პირველად ამოძრაოდენ სოფელ ნიკორის და სუფსის (უნაგერა) კლებები. აქ დაარსდა გლეხთა წრეები, რომელნიც ავტოცელებდენ სოციალ-დემოკრატიულ პროკლამაციებს და წიგნებს. შემდეგ მათ მიემზრენ ჩოჩხათი, მიქელ-გაბრიელი, ხეაზეცო—ერთისიტუვით, მთელი დასავლეთი გურია. მოძრაობის მეთაურობა იტვირთა ბათომის სოციალ-დემოკრატ. მუშათაკომიტეტმა, რომელიც გზავნიდა სოფლებში თავის პროპაგანდისტებს. ესენი მართავდენ გლეხთა ყრილობებს. განსაკუთრებით ლამაზობით. ტყეში და ხალხს უხსნიდენ პოლიტიკურ და სოციალურ აზრებს. ყრილობას ესწრებოდა არა ნაკლებ 300—400 კაცისა. დარაჯებათ პყავდათ შეიარაღებული კაცები. რომელთაც შორიდანვე უნდა ეცნობებინათ პოლიციის მოახლეება. ამ შემთხვევაში პირველათ პროპაგანდისტი უნდა დაემალათ, რისთვისაც მის გვერდით ყრილობის სანდო პირები იღებს და შემდეგ თვითონ გაბნეულიყვენ ტყეში. ხოლო თუ პოლიცია ძლიერ ახლო მოვიდოდა, მაშინ ისინი ყველა ერთად უნდა გამოსულიყვენ და სოფელში წასულიყვენ, გარდა «სტუდენტი»-სა (ასე ეძახდენ პროპაგანდისტებს), რომელიც პირველადვე უნდა გაეპარებიათ. მისთვის ყრილობის მხათ იყვნენ კაცები და ცხენი. ასეთი ყრილობები გაიმართა თიქმის ყველა სოფლებში. დასავლეთ გურიას თან მოყვა აღმოსავლეთი და ასე «სტუდენტმა» მთელი გურია მოიარა.

თითოეულ სოფელში დაარსდა მოწინავეთა წრე. რომელსაც მოყავდა პროპაგანდისტი, იწვევდა კრებებს, ავრცელებდა პროკლამაციებს. პროპაგანდისტები ყოველგან ერთნაირათ ლაპარაკობდნენ: თანამედროვე საზოგადოებას ყოფდნენ ორნაწილათ. გამყვლეფელებათ (მემამულე, კაპიტალისტი, მდედრელი და სხ.) და გაყვლეფილებათ (მუშა და გლეხი). მათ შორის ძირითადი წინააღმდეგობაა, ამ უსწორ მასწორების მოსპობა შეიძლება თვით ამ წინააღმდეგობის მოსპობით. კერძო საკუთრების გაუქმებით და სოციალიზმის განხორციელებით ამ იდეალს ეტრის პროლეტარიატი და გლეხობაც მას უნდა ამოუფეხს გვერდით. ხოლო სანამ ამს მივაწევდეთ, მანამდის შეიძლება წვრილ-წვრილი რეფორმებით შეიმე ულლის ორნავ შემსუბუქება. ქალაქის მუშები უკვე შეუდგენ ამ რეფორმის მოთხოვნას, ახლა გლეხებმა უნდა მოითხოვოთ თავიანთვის და სხვა. კრება ყოველ თვის თავდებოდა ხალხის ძალით: «ძირს ნიკოლოზ მეორე». პრატიკული მოთხოვნილებები პირველად შეიმუშავეს სოფელ მიქელ-გაბრიელის გლეხებმა. აი ეს მოთხოვნილება:

- 1) დაწევა ასესებული რენტის: მემამულეს მოსავლის ერთი მეათედი, რაც თვითონ უნდა წაიღოს თავის სახლში;
- 2) დათხოვნა ძველი მოურავებისა და მათ ალაგას დანიშვნა ხალხის მიერ არჩეულებისა;
- 3) შემკირება საბალახოს რენტისა;
- 4) გაუქმება «სალექტობოსი»;
- 5) მოსპობა მემამულეთა დავისა დროებით ვალდებულ გლეხთა მიწების დასაჩემებლათ ატებილისა;
- 6) გზების კეთება გლეხებთან ერთად თავად-ახნაურების მიერაც;
- 7) გაუქმება ღვდლის «დრამის ფულისა» (კომლზე 2 მანეთი წელიწადში, გარდა ჯამაგირისა);
- 8) დანიშვნა ნიხერისა დამარხების, ჯვარის წერის, მონათვლის, ზიარების და წირვისათვის და 9) გაუქმება არაყის გამოხდის აქციზისა. ეს მოთხოვნილება შეიქნა სხვა სოფლების მოთხოვნილებაც. ამასთანავე გლეხებმა გადაწყვიტეს «მოიკოტი»-ს გამოცხადება იმ მემამულეთათვის, რომელნიც არ მიიღებდნენ ამ მოთხოვნილებებს. ბოიკოტი მდგომარეობდა შემდეგში: წართმევა მოჯამაგირეთა, მოსამსახურე გოგოების, მეწისქვილეების და სხვა. ხოლო, თუ არც ეს გასჭრიდა, მათი მამულები არც თვით უნდა შეემუშავებინათ და არც სხვა კუთხის გლეხები მოეშვათ მოიჯარადრებათ.

ამ მოძრაობამ დაშინა მებატონები და დააფრთხო ადგილობრივი პოლიცია. პოლიციელნი ისე შეშინდენ, რომ სოფლებში ველაზ დადიოდნენ ხალხის დასაშინებლად. ლაპარაზუთის ბოქაულს, ჯაშუშ ქელბაჟინს, შეატყობინეს ერთი ყრილობის ადგილი და დრო. მანაც გასწია სტრაჟნიკებით,

* «სალექტობო» ეწოდება იმ გადასახადებს, რომლებსაც გლეხი რენტის გარდა იხდის ქცევაზე—ერთ მანეთს ფულად, ძღვენი და მოსაკითხი ბატონს და მოურავს.

მაგრამ შუა-გზაზე შეეშინდა და უკან დაბრუნდა. მეორე არხი «შვილის მახრის უფროსის თანაშემწე, წერეთელი, «დაწისს-დანსშე» გზავნიდა გუბერნატორთან, თუითონ კი გარეთ გამოსვლას ვერ ძეგავდა. უფრო გატელული აღმოჩნდა თავადა-აზნაურთა მარშალი, ზნეობრივათ და ქონებრივათ გაკოტრებული, თავადი კ. ერისთავი. მან შეყარა თავადა-აზნაურები იმის სათათბიროთ, თუ როგორ ავლაგმოთ გლეხებიო. ხოლო მეორე თავადი დავით გურიელი წავიდა ქუთაისში და გუბერნატორს თხოვა, ჯარები ჩაუყენ გლეხებსო და თანაც ბეჭერი გლეხები დაასმინა. სამაგიეროთ გლეხებმა აღრე გადაუხადეს ამ «ქქაფ» თავადს. დაბრუნებისას, სწორეთ თავის სახლის ახლოს, მოკლეს. მკვლელი ვერ ნახეს. იმ დღიდან გლეხებმა დაიწყეს ტერორი: «ჯაშუშების დასაშინებლათ» — როგორც თვითონ ამბობდენ. დასჭრეს რამდენიმე პირი, არავინ მოუკლავთ, გარდა აზნაური ქარცივებისა, რომელსაც სხვისთვის გამზადებული ტყვია შეცდომით მოხვდა. ტერორი «გლეხების პოლიტიკა» იყო, წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატიული კომიტეტისა. კომიტეტმა მაინც იმდენი მოახერხა, რომ სოფლის ტერორისტებმა ტერორს უკლეს და ბოლოს სულ დატოვეს.

ივლისის პირველ რიცხვებში, გურიაში ჩამოედიდა გუბერნატორი სმაგინი, დაიარა სოფლები და გამოკითხა გლეხთ, რა გსურთო. გლეხებმა სრულიად უშიშრათ უამბეს თავიანთი გაჭირვება. გუბერნატორი ძლიერ გაწყრა ამათ «თავხედ» ლაპარაკისათვის და დაემუქრა, ნაობახტში დაგალობობოთ. მაგრამ ამან ვერ შეაშინა ვერავინ. პირიქით, სოფ. ჩიჩხათის ერთმა გლეხმა ასეთ მუქარაზე უპასუხა: «აი მთელი ჩემი სიმდიდრე, უჩვენა დახულ ფეხსაცმელზე, სხვა ყველაფერი წამართვით, წაიღეთ ესეც, თუ კი გეყოფათ», თან გადაუგდო ფეხსაცმელი. გაბრაზებულ გუბერნატორმა ბრძანა მისი დაცერა, მაგრამ გლეხები წინააღმდეგ პოლიციელთ და არ მიუშვეს დასაჭრათ, ასე რომ გუბერნატორი იძულებული გახდა დამორჩილებოდა. სოფ. მიქელ-გაბრიელის გლეხებმა გუბერნატორს წარუდგინა ზემოჩამოთვლილი მოთხოვნილებანი და გამოუცხადეს, სანამ არ დაგვაკმაყოფილებთ, მანამდის ვერ მოვისვენებთო. გუბერნატორი საშინალად გაბრაზდა, დაიწყო ჩვეულებრივი მუქარა, მაგრამ, როცა დაინახა, რომ მუქარას გლეხებზე გავლენა არ ქონდა, გამოუცხადა: მიწის საქმე მე არ შემქებება, ეს მემამულეთა საქმეაო, ხოლო დრამის ფულის მოსპობაზე ვი შეამდგომლებთო. გუბერნატორმა მოიარა სოფლები და დაბრუნდა უკან ზომების მისაღებად. მაგრამ ეს თვითონ ვერ გაბედა, წავიდა მთავარმართებელთან და მასთან მოლაპარაკების შემდეგ თავის თანაშემწეს უბრძანა, «გაწმინდე» გურიაო. მეორეს მხრით გლეხებმა «ბოკოტი» გამოუცხადეს მემამულეთ. ერთ მშვენიერ დღეს ბატონები დარჩენ ყოვლად უნუგეშო მდგომარეობაში, გოგო-ბიჭებმა დასტო-

ვეს ისინი და ქალბატონები იძულებული გახდენ თავისი ხელით ეკეთებიათ საჭმელ-სასმელი და მოახლეობა გაეწიათ. ამავე დროს ლანჩხუთის ბოქაულმა ნიგოითის მემამულეთა ჩვენებით დაიჭირა სამი გლეხი. შეორე დღესვე 500 გლეხი მივიდა ბოქაულთან და ძალით გამოაშვებინა დაჭერილნი. ამ დავიდარაბაში და მოძრაობაში გავიდა ივლისი. აგვისტოს პირველ რიცხვებში გურიაში ჩამოვიდენ ვიცე-გუბერნატორი. ქართველთა გენერალი, პროკურორი და რამდენიმე ბათალიონი ქვეითა და ცხენოსანი ჯარი. ჯარები ჩააყენეს მოწინავე სოფლებში და ქალაქ ოზურგეთში. შეადგინეს სია დასაჭერ პირთა და «შეუდგენ საქმეს». ერთ კვირაში ჯარის შემწეობით სხვადასხვა სოფლებში დაატყვევეს 200-ზე მეტი. ამათში ორი ნორ უორდანია და სილიბისტრო ჯიბლაძე, რომელიც ური კვირის წინ გამოუშვეს თბილისის მეტების ციხიდან, სადაც წელიწადზე მეტი იჯდონ მუშათა საქმის გამო და თავიანთ სოფლებში გამოგზავნეს პოლიციის მხედველობის ქვეშ; სამი სოფლის მასწავლებელი: მ. მეგრელიძე და ორი ძმა ჩხაიძე, დანარჩენი კი გლეხები და ქალაქიდან გამოგზავნილი მუშები. ქუთაისის, ბათომის და ოზურგეთის ციხეები გაიგო გურული ტყვევებით. უანდარმები შეუდგენ სოფელ-სოფელ ჩხრევას და საქმის გამოიყებას. გლეხთ ეფერებოდენ, ვიცით თქვენ არ ხართ დამნაშავენი, სხვები გაბრიყებენ, გვითხარით გინ არიან ისინი და მაშინვე გამოგიშვებთო. მიხედვათ ხან ფერებისა, ხან მუქარისა არც ერთი გლეხი არ გამოტეხილა და არავისხე ხელი არ დაუდვით. ასე რომ პოლიციამ ვერაფერი ვერ გაიგო თვით გლეხებისაგან და იძულებული იყო საქმე ეწარმოვგებინა თავისი ჯაშუშების და თავად-აზნაურთა ჩვენების მიხედვით. შემდეგ საში თვის ტყვეობისა გლეხები გაუშვეს ციხიდან, გარდა 28 კაცისა. განთავისუფლებულებისაგან ხუთი განაძევეს ქუთაისის გუბერნიიდან: (ნ. უორდანია, ს. ჯიბლაძე, მ. მეგრელიძე და ორი მუშა დოლიძე და ხომერიკი), დანარჩენი შინ დაბრუნეს. დატყვევებულთაგან ექვსი თვის შემდეგ ექვსი გადაასახლეს ხარჯოვის გუბერნატოში, ხოლო 22 კაცი დღესაც ქუთაისის ციხეში არიან. გარდა ამისა, ხუთ სოფელში გლეხების ჩამოერთვათ მამასახლისის არჩევის უფლება და თვითი მთავრობამ დანიშნა თავისი ჯაშუშები, ხოლო მათი ჯამაგირები სოფელს გააწერა. შტიკების საშუალებით ხალხს გადახდიეს «დრამა» და ლვდლებს ჩააბარეს. ზოგ ლვდლელმა ხალხის შიშით დრამის მიღებაზე უარი თქვა, მაგრამ მთავრობამ აიძულა მიეღო; აგრეთვე სოფ. ნიგოითის ერთი მემამულე გლეხების მოთხოვნილებას დაეთანხმა, გაიგო ეს თუარა გუბერნატორმა, მაშინვე დაიბარა ეს თავადი და გამოუტხადა: თუ არ შეგიძლიათ მამულის პატრონობა, ჩამოვართმევთ და ჩვენ მოუვლით, გლეხების დათმობა როგორ შეიძლება, დღეს თქვენსე გაიმარჯვებენ, ხვალ ჩვენსედაც მოიტანენ იერიშაო. თავადი დაბრუნ-

და სოფელში და გამოუცხადა, რა ვქნა გუბერნატორმა არ დამანება თქვენთან მორიგებაო. მთავრობამ დაკეტა ყველა სახალხო ბიბლიოთთვეები.

ამნაირად, მთავრობამ პირდაპირ ომიგამოუცხადა გლე-
ჭებს და მით ნათლათ დაანახვა მათ, რომ სანამ თვითმპყრო-
ბელობა არ დაინგრევა, მანამ მათი საქმე წინ ვერ წავა. მო-
რაობამ სწრაფად მიიღო პოლიტიკური ხასიათი. მერმინდე-
ლი პროკლამაციები უმთავრესად პოლიტიკურია.

გურიის დღევანდველი მდგომარეობა ასეთია: გლეხები გა-
ითვიცნენ და მემამულეთა ადგილებში არ მუშაობენ, მრავალი
სახალხი მამულები ვერანათაა გაშვებული. თავადების ბოიქო-
ტი კიდევ უფრო სასტიკა წარმოებს. ხალხსა და ლედლებს
შორის სრული განხეთქილებაა, პოლიცია და უანდარმები თა-
ვიანთ დაუძინებელ მტრებათ მიაჩინათ. მოძრაობის სათავეში
ჩადგა ახლად დაარსებული გურიის გლეხთა სოციალ-დემო-
კრატიული კომიტეტი. ბრძოლა წარმოებს.

თავისთვად ცხადია, რომ გურიაში დაწყებული გლეხთა
მოძრაობა მარტო გურიით ვერ განისაზღვრებოდა, და მართ-
ლაც, შარშან ზაფხულშივე მოძრაობა დაიწყო ზუგდიდის მა-
ზრის გლეხობაში, ხოლო წელს ქუთაისის მაზრაში (იმერეთი).
ასე გასინჯეთ, წელს პირველი მაისი იდლესასწაულეს სოფ-
კულაშის გლეხებმა, ამართეს წითელი დროშა და წაკითხეს
პროელამაციები. ასე გლეხთა მღელვარებამ მოიცა შოელი
დასავლეთი საქართველო და ეს რამდენიმე თვევა თავი იჩინა
აღმოსავლეთ საქართველოშიაც. აქ, ქართლში და კახეთში,
გლეხობა ყველაზე უფრო დაბრჩავებული და წელში გატეხი-
ლია. მრავალი გლეხია ღროებით ვალდებული და ბატონისა-
გან სრულიად დამოკიდებული. აქ ვერ კიდევ ბატონ ყმობაა.
ამიტომ გლეხები გონიერივათაც დაჩაგრულები და უვიცები
არიან. მიუხედავათ ამისა ამათაც ასწიეს თავი და მებატონე-
ებს შეებრძოლენ.

ამგვარად, გლეხთა მოძრაობა კავკასიაში ვერ მხოლოდ
საქართველოშია, ის არ დაწყებულა არც სომხის და არც თა-
თრის გლეხებში. სოფელ-სოფელ დადიან ბოქაულები, მოძ-
რიგებელი მოსამართლენი, მაზრის უფროსები და ხშირათ
თვით გუბერნატორი სმაგინი და ხალხს უქადაგებენ: ნუ აყვე-
ბით რევოლიუციონერებს, იყავით ხელმწიფის მორჩილნიო
და სს. ერთისიტყვით, გლეხებში ორგანი პროპაგანდაა, რე
ვოლიუციონერებისა და მოხელეების, ზოგიერთ სოფელში
გლეხები ხელახლა დააფიცეს ხელმწიფის ერთგულებაზე! ამ
ბოლო დროს დაარსდა გლეხთა მეორე სოციალ-დემოკრატი-
ული კომიტეტი იმერეთში.

X.

ჩასთველი ხოციალ-დემოკრატია

დ. პ.

ნაციონალური საკითხი.

მას შემდეგ რაც უკანასკნელი შეთქმულება, 1832 წელს,
 ქართველი ერის თავისუფლების აღსადგენათ, დამარცხდა,
 ეს საკითხი მოიხსნა ქართველ მოღვაწეთა და ის წესრიგდან.
 მესამოცე წლების მოღვაწენი აუკნებდენ ყოველნაირ მოთხო-
 ვნილებათ, მუშაობდნენ ლიტერატურის ასპარეზზე ყოველ-
 ნაირი საკითხის გასაშუქრებლათ, გარდა საქართველოს სუვე-
 რენობის აღდგენისა. ოცაც რევოლუციური მოძრაობა და ი-
 წყო ჩვენსში და გაძლიერდა, მას დაუპირდაპირდა ერთად ერ-
 თი არსებული ქართული განეთი «ივერია» და მოათავსა მისმა
 ხელმძღვანელმა ი. ჭავჭავაძემ ვრცელი წერილი მის წინააღ-
 დეგ, სადაც სხვათა შორის სწერდა: «ქართველ უნდა ქოხდეს
 გარკვეული პროგრამა. ასეთი პროგრამა ჩვენ გვაქვს. მისა-
 პირველი მუხლია: ქართველობა ალირებს თვის გრძელებას და ჩვენი ხელმწიფე იმ-
 პერატორისა» და სხვ. (იხ. «ივერია» 1801 წ. № 116).

ხოლო კიდევ უფრო ადრე, ნიკოლოზ მეორის ტახტებზე,
 ასელის გამო 1896 წ. იგივე «ივერია» ი. ჭავჭავაძის ხელის მო-
 წერით აქვეყნებს შემდეგს:

«14 მაისს—მთელი რუსეთის იმპერიისათვის საბეჭნიერო
 და სადღესასწაულო დღეს—ყველა ჭეშმარიტ ქვეშევრდობთა
 სული და გული ფინანსაზად გადაიშალა და ალტაცებულის
 იმედით დალოცა ახალგაზრდა გვირგვინოსანი. ერთგულება
 ტახტისა, ქრისტიანობრივი სასოფტა და ქვეშევრდომული
 თავისა და თავის მირონცხებულ ხელმწიფესა, ამ უტ-
 ყუარი სასოფტით ვეგებებით ჩვენთვის და მთელ რუსეთისა-
 თვის დიდებულ დღეს და ერთგულის ქვეშევრდომის გრძნო-
 ბით ლრმეთსა ვსთხოვთ მრავალ-ქამიერ სიცოცხლეს ჩვენის.
 საყვარელის იმპერატორისას...» («ივერია» 1896 წ. № 102).¹⁾

ამნაირათ, საქართველოს საზოგადო ასპარეზზე აღარ-
 იდგა საქართველოს ძირითადი ნაციონალური საკითხი და

¹⁾ იხ. გ. გიორგაძის წიგნი «სახოგადოებრივი ურთიერ-
 თობა საქართველოში». გვ. 306—307.

ମତେଣି ମିଳି ମେତାଶୁର ନିର୍ମୀଲିଙ୍ଗେନପ୍ରିଯ ଦାନ୍ତା ରୂପକ୍ଷିତ୍ୱର ସାହୁର୍ଦ୍ଧଵାନ୍ତିକ୍ଷେତ୍ରେ

აი ამ საერთო დავარდნის ხანაში არსდება პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომლის დამაარსებლები შეიკრიბენ ჯერ ყვირილაში, შემდევ თბილისში და მიიღეს თავისი პარტიული პროგრამის ძირითადი მუხლები. ეს მოხდა 1892 და 1893 წ. კრებას წარუდგინა დაწერილი მოხსენება სახელწოდებით: «ეკონომიკური განვითარება და ეროვნება» ნ. კორდანიამ და იქ წამოყენებული დედა-აზრები იქნა მიღებული. აქ სხვათა შორის გარჩეულია ნაციონალური საკითხი. ეს მოხსენება დაიბეჭდია უურნალ «მოამბე»-ში 1894 წ. და შემდევ გამოიცა საზღვაო-გარეთ ცალკე ბროშიურათ. აი ამ მოხსენების დასკვნები:

«ამ სახით, ჩვენ მივადებით შემდეგ დასკვნას: ნიკოლები კეთილდღეობა, როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრების; 2. თავისუფლება მთელი ერის და თვითული პიროვნებისა როგორც ხელ-შემწყობი პირობა უმთავრესი სურვილის მისაღწევათ და როგორც უახლოესი საგანი მოწინავე დახის მოქმედებისა».

ଅମନ୍ତାରୀତ, ଅଗ୍ରହିଲଙ୍ଘଦା ଆଶାଲୋ ଫ୍ରଣ୍ଟମ୍ପା, ରୁମ୍ଭେଲ୍କ୍ଷେଫାଟାପ ଶ୍ରୀ-
ରୋ—ଏହି ଦା ଦ୍ୱୟମ୍ବକ୍ଷରାତ୍ରିର, ତାଙ୍ଗିସୁଫ୍ଳେବା ଏହିର, ତାଙ୍ଗିସୁଫ୍ଳେ-
ବ୍ଲେବା କୋଳକିସ. ଅମ ଫ୍ରଣ୍ଟମ୍ପା ମନ୍ତ୍ରେଣ ମାତ୍ରିନନ୍ଦରେଣ ମନ୍ତ୍ରବାଜ୍ୟେତ
ସାନ୍ତୋଗାଦିନେବା ଶ୍ରୀକ୍ଷେତ୍ରା ଶର୍ମିଲାଦା ଗୁଣଗରୀଲାତ ଦା ଏହି ରାମ୍ଭ
ଗାମନ୍ତମାତ୍ରରେବା ଗାମନ୍ତଶ୍ଵର୍ଗେବା ମାତ୍ରଶି ଦା ମିଳେ ଉର୍ବାନ୍ତରେବା. ଏହି
ଦାରିଦ୍ର ଫ୍ରଣ୍ଟମ୍ପାତ ମନ୍ତ୍ରଲାଦ ସର୍ବପାଳ-ଦ୍ୱୟମ୍ବକ୍ଷରାତ୍ରିକିସ. ମିଳେ ଗାନ୍ଧି-
ବ୍ରାହ୍ମପ୍ରେସରେବାସ ଯୁଦ୍ଧିରୀନ୍ଦ୍ରମା ଶ୍ରେଷ୍ଠରେବିକି ମୁହିଁବାଦା, ଶ୍ରୀନି-
ବିଲୀ ପ୍ରାଚ୍ଯରୀକା, ରିପ ପିଲିର୍ବେଲି, ମିଠାତାଦି ମନ୍ତ୍ରବ୍ରାହ୍ମନିଲେବା
ଯୁଗ ଏହିବ୍ରାହ୍ମଲି ର୍କ୍ଷେତ୍ରମିଳିସ, ତ୍ରୈତମତ୍ୟକ୍ରମବ୍ରାହ୍ମନିଲେବିସ ଦାନ୍ତର୍କ୍ଷେତ୍ରା ଏହି
ମିଳେ ଲାଗାବ ଦ୍ୱୟମ୍ବକ୍ଷରାତ୍ରିପିଲି ର୍କ୍ଷେତ୍ରବ୍ରାହ୍ମକିସ ଦାମ୍ୟାର୍ଜେବା. ଅମ
ମନ୍ତ୍ରବ୍ରାହ୍ମବିତ କାରତ୍ତବ୍ୟାଲି ସର୍ବପାଳ-ଦ୍ୱୟମ୍ବକ୍ଷରାତ୍ରିର ଶ୍ରେଷ୍ଠିରା ରୁକ୍ଷ-
ତିଲେ ସର୍ବପାଳ-ଦ୍ୱୟମ୍ବକ୍ଷରାତ୍ରିପିଲି ପାରିତ୍ରାକି ସାହରତମ ମାଲ୍ଲନିତ
ଏହିବ୍ରାହ୍ମଲି ର୍କ୍ଷେତ୍ରମିଳିସ ଦାସନ୍ଧର୍ଗର୍ବାତ.

1903 წ. მოხდა რუსეთის სოც.-დემ. პარტიის მეორე ყრილობა ლონდონში, რასაც დაესწრენ ქართველი სოც.-დემოკრატიმადგენელი. აქ პირველათ დაისვა ნაც. საკითხი, რის გამოსარჩევებათ დაინიშნა განსაკუთრებითი კომისია. იმ აქ მოხდა დიდი ჯახი და ბოლოს შეთანხმდენ ქართველ დელგაციასან ერთად შემდეგ რეზოლუციაზე:

«მიეცეს თვითგამორკვევის უფლება ყველა ერს, რომელიც კი შედიან სახელმწიფო ში». ე. ი. თვითულ ერს ენიჭება უფლება თვით გამოარკვიოს და გადასწყვიტოს იყოს დამოუკიდებელი, თუ შედის რომელიმე სახელმწიფოს საზღვრებში,

ფედერაციულ, კონფედერაციულ თუ—მთლიან საფუძველზე.
 ასეთ შემთხვევისათვის, კონგრესმა მიიღო რეზოლუცია,
 როთაც ის თხოულობდა არა-რუს ერისათვის საოლქო თვით-
 მართველობას, პოლიტიკურს და კულტურულ სფეროში.

ამნაირათ, ერთად-ერთი საქართველოს სოციალ-დემო-
 კრატიკა დადგა ერის სუვერენიტეტის ნიადაგზე, ააფრიალა დრო-
 შა ერის თავისუფლების. ეს იყო პარტიის პროგრამმა. რის
 განხორციელება მოითხოვდა შესაფერ პირობებს. აი ამ პი-
 რობების გამომუშავება და მათი განხორციელება გახდა სა-
 განი ხანგრძლივი პარტიული მუშაობის. მისი პირველი მუხ-
 ლი იყო თვითმპურობელობის დანგრევა და დემოკრატიული
 რესპუბლიკის დაწესება, რაიცა იყო შესაძლებელი რევოლუ-
 ციით. აი ასეთი მომენტი დადგა, რევოლუცია იყენება
 1917 წ., რასაც მოყვა მეორე რევოლუცია—ბოლშევკების
 გაბატონება მთელ რუსეთის ტერიტორიაზე. აი ამ დროს სა-
 ქართველოს სოც.-დემ. პარტიამ დაინახა თავისი ნაციონალუ-
 რი პროგრამის განხორციელების ხელსაყრელი მომენტი,
 რაიცა არ გამოიწვევდა რაიმე ხიდათს ქართველი ერისათვის
 და ის განახორციელა—მთელი ერის ერთსულოვანი დახმარე-
 ბით—საქართველო გახდა დამოუკიდებელი, დემოკრატიული
 და სოციალური. 26 მაისი შეიქმნა უკვდავი ქართველი ერის
 ისტორიაში, მის სულსა და გულში.

ჩართული გთლიანობისთვის.

მიუწენის ქართველების პოლიტიკურმა კომიტეტმა თა-
 ვის დროშე მიმართა ემიგრაციაში მყოფ სხვადასხვა პოლი-
 ტიკურ დაჯგუფებებს მოწოდებით, გამოენახათ ურთიერთ
 შორის საერთო ენა და დაეარსებიათ ცენტრალური ორგანო,
 რომელიც მუშაოვი დამოკიდებულებაში იქნებოდა უცხოეთ-
 ში მყოფ საქართველოს კანონიერ მთავრობასთან და მასთა-
 ნავე შეეცდოდა მუშაორო კავშირის დაყარებას სხვადასხვა
 ქვეყნებში არსებულ ქართველების ორგანიზაციებთან.

სამწუხაროთ, მიუწენებელ ქართველ პატრიოტების სურ-
 ვილი დღემდი განუხორციელებელი დარჩა... ჩვენ არ გვესმის,
 თუ რა უნდა უშლიდეს ხელს ამ გაერთიანებას! თუ სამშობ-
 ლოში კიდევ გასაგებია, რომ ყოველივე პოლიტიკური მიმა-
 რთულება თავის საკუთარი გზით მიღიონდეს და იბრძოდეს
 თავის იდეალების განსახორციელებლად—აქ, უცხოეთში, ამას
 ნაკლები გასამართლებელი საბუთი აქვს. სამშობლოში უმ-
 თავრესად პოლიტიკურ პარტიებს შორის ბრძოლა წარმოებს
 შინაურ პოლიტიკის ირგვლივ. მაგრამ უცხოეთში ჩვენ გად-
 მოხვეწილთ ხომ ერთად-ერთი საზრუნავი გვაქვს—ჩვენი დაკა-

რგული თავისუფლების აღდგენა, დამპყრობელი ძალის ჩვენი ქვეყნიდან გაძევება.

ქართველმა ერმა და მისმა უზნაესმა დაწესებულ გაბაზ—დამფუძნებელმა კრებამ—ამ დავალებით წარმოგზავნა უცხოეთში ჩვენი მთავრობა, რომლის მოვალეობას შეადგენდა სამართლიანი ქართული საქმის დაცვა და ისეთი საშვალებების და ზომების გამოძება, რომელნიც ხელს შეუწყობდე ჩვენი ერის განთავისუფლებას მოსახვის მოხმობისგან.

განსაკუთრებით დღევანდვილი პოლიტიკური მომენტი გვაიძულებს ერთი ავტორიტეტული წარმომადგენლობის ყოლას და მის ირგვლივ მთელი ჩვენი სასიცოცხლო ძალების დარაჯმებას.

ამ შბრივ ჩვენი მცგომარეობა შედარებით სხვებთან უკეთესია. სხვებს—გარდა პოლონელებისა—არა ყავთ უცხოეთი კანონიერი მთავრობა, რომელსაც შეეძლოს ფორმალ ურადება ერის სახელით ლაპარაკი. ამ ჩვენს უპირატესობას ყველა გრძნობას. საქართველოს სუვერენიტეტი იყო თავის დროზე 20 სხვადასხვა სახელმწიფოს მიერ დე-ფაქტო და დე-იურეთ ცნობილი. და ამ სუვერენიტეტის გამომსახველი შთავრობა იმყოფება ემიგრაციაში და ამ გარემოებას უნდოდა გამოყენება ჩვენი საერთო საქმისთვის.. ჩვენს ემგრაციაში კი— საუბრედუროთ— აღმოჩდენ ძალები, რომელნიც ცდილობენ ამ მთავრობის პრესტიჟის დაცემას და იზოლიაციის მოხდენას.

მაგ., ეროვნ. დემოკრ. პარტიის ორგანო «ივერია». ს მე 2 ნომერში მოთავსებული წერილი ამ საკითხზე, ჩვენის პრიოტ, გამოიწვევს განცვიფრებას და გაკვირვებას ყოველი ობიექტიურად მოახროვნება ქართველის გულში.

«ივერია» სწერს: «შემცდარი იყო და შემცდარი ის აზრი, თათქოს ემიგრაციის ერთი ვიწრო წრე ან რომელიმე უწყება იყოს აღჭურვილი სრული ეროვნული მანდატით, ატარებდეს სრულის ლირსებით ერის სუვერენულ უფლებებს. ამგვარად მოახროვნეს შეტად ზერელედ და მარტივად ესმისერი, მისი სუვერენიტეტი... ის თითხა და კენჭის მეტ ანგარიშს უწევს და მეტ ღირებულებას ანიჭებს, ვინემ შთელი ერის ბრძოლას...»

საინტერესოა, ბ-ნო ივერიელებო, ვიცოდეთ, თუ რომელმა ემიგრაციის ვიწრო წრემ აირჩია ჩვენი მთავრობა? ნუ-თუ თქვენს შორის არ მოიპოვება არც ერთი პიროვნება, რომელიც იყო პირადი მოწამე საქართველოს დამრუკიდებლობის გამოცხადების და იცოდეს უცხოეთში შეკოტი ჩვენი მთავრობის წარმოშობის ისტორია! ნუთუ თქვენთვის საიდუმლოებას წარმოადგენს, რომ ეს მთავრობა არის ჯერ კიდევ საქართველოში დამფუძნებელი კრების მიერ არჩეული და არა რომელიმე ვიწრო დაჯგუფების! ჩვენთვის დიდათ საინტერესოა იმის მოსმენაც, რომ დემოკრატიული პარტიის ორგანო უარყოფს კენჭის ყრის მნიშვნელობას... არ ვფიქ-

რობთ რომ რედაქციის ამ შეხედულებას იხიარებდენ ერთ. გადამკრატიული პარტიის წევრები... გადამკრატიული პარტიის წევრები...

თუ საქართველოს თავისი უფლებისთვის მებრძოლ კერძო პიროვნებას ან რომელიმე ჯგუფს აქვს უფლება იყოს საქართველოს სუვერენობის გამომხატველი. როგორც ეს «ივერია» ს მოწინავე წერილში არის აღნიშნული — ნუთუ დემოკრატიული წესით არჩეულ მთავრობას არ უნდა ქონდას იგივე უფლება! სად არის ლოლიკა. ბ-ბო! იურიდიულათ და ფორმალურადაც მხოლოდ მთავრობა არის ერთს სუვერენობის გამომხატველი და არა კერძო პიროვნება, როგორც დიდი აზ უნდა იყოს მისი დამსახურება ერთს წინაშე. თუ ჩვენმა ემიგრაციამ ხელი შეუწყო თავისი საქციილით ჩვენი მთავრობის იზოლიაციას — მერწმუნეთ — ბოლო მეგოყების გარდა ეს დაურჩება სასიამოვნოთ რუსის ემიგრაციასაც და აგრეთვე ეს იქნება იმ ქართველების პოზიციების გამავრება, რომელნიც ცდოლობენ საქართველოს ნავის ისევ რუსულ წლვაში შეცურებას. ნუთუ ამას ვერ ხედება «ივერია»-ს რედაქცია!..

— ეხლა, რაც შეეხება მემარცხენ ოპოზიციას — ჩვენ არ შეგვიძლია გულის ტკივილით არ აღნიშნოთ ამ ჯგუფის წევრების — ამ უკანასკნელ ხანებში — პოლიტიკური გამოსვლები და განსაკუთრებით ირაკლი წერეთლის პოზიცია, რომელიც თავის ავტორიტეტით ცდილობს კერძნესკი-აბრამოვიჩ-ჩერნივის ფრონტის გაძლიერებას. ჩვენ კი ვიტიქობდით, ირ. წერეთლის ხმა, როგორც ქართველი პოლიტიკური მოღაწის, გაისმოდა, ამერიკაში გამართულ ანტიკომუნისტურ ინტერნაციონალურ ყრილობებშე და ამით კულტურულ კაცებრიობას კიდევ ერთხელ ემცნობოდა ქართველი ერთს გარდაუვალი სურვილი თავის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. ის ამით გამავრებდა არა მარტო ქართველების პოზიციას საერთაშორისო ასპარეზზე — არამედ ყველა იმ ერებისა, რომელნიც გმინავენ მოსკოვის იმპერიალიზმის უცლის ქვეშ. ამ შიმართულებით ჩვენი იმედები არ გამართლდა და ირ. წერეთლმა, სამწუხაროდ, თავისი სამოქმედო ასპარეზი შემოფარგლა რუსელი წრით არ ქადაგებს მომავალი რუსეთის ცხოვრების მოწყობას ინკლისურ წესწე... .

ირ. წერეთლის მეგობრების გამოცემულ ბროშიურაში ვკითხულობთ: «... ამრიგად თავისი უფალი ადამიანი ერში, თავისი უფალი ერი კაცობრიობაში — აი თანა მედროვე ლოზუნგი თავისი უფალი ერთა უფლებებისა» — ა. დიდებული აზრია. არ ვფიქრობთ, რომ ქართველ ემიგრაციაში ამ დებულების წინააღმდეგ ვინმე იყოს... ჩვენ ყველას ამ ნიადაგზე შეგვეძლო შეთანხმება. მაგრამ ამ ბროშიურის ავტორები იჩქარიან, ისტორიას წინ უსწრებენ, როდესაც ისინი აღიარებენ. რომ საქართველო მზათა შევიდეს როგორც თანასწორ უფლებიანი წევრი თავისი უფალ კავშირში რუსეთის და სხვა მეზობელ დემოკრატიულ ერებთან ისე, როგორც საერთაშორისო ფედე-

რაციაში...» რა საჭირო იყო ამ შემთხვევაში მაინცდამაინც რუსეთის ხსნება ან და რა გარანტია აქვთ ამ დებულებების ავტორებს, რომ ქართველი ერო მათ რჩევას მიიღებს და რუსეთთან ერთ ფედერაციაში შევა!

ერთ დროს ჩვენი პოლიტიკური ემიგრაცია და მისი ხელმძღვანელობის მუშაობა მისაბამი იყო სხვებისთვის და დღეს კი ჩვენ უნდა სხვებს მივგაძოთ — თუ გვინდა რომ ჩვენ ჩვენი დამოუკიდებელი პოლიტიკური სახე შევინარჩუნოთ. თითქმის ყველა ეროვნულ ემიგრანტულ ორგანიზაციებში ხდება შინაური ძალების კონსოლიდაცია. და ნუთუ ჩვენ უნდა შევადგენდეთ გამონაკლის!

ჩვენ იმედს გამოვსთქვამთ, რომ მთავრობა თავის მხრივ მიიღებს ყოველივე ზომებს, რომ ეს შინაური ძალების კონსოლიდაცია მოხდეს. მან უნდა შეეცადოს ისეთი ურთიერთობა დაამყაროს ემიგრაციაში არსებულ ძალებთან, რომ შესაძლებელი დარჩეს ამ ძალების და მთავრობის წევრების პარმონიული მუშაობა...

მომავალი მუშაობა ემიგრაციის ცენტრის არ განისაზღვრება მარტო პოლიტიკური საქმიანობით. თუ დღემდი სხვადასხვა ქვეყნებში არსებულ ქართველთა კოლონიებს არ ქოდათ მუდმივი მცირებულ კავშირი; მომავალში ეს უნდა გამოხწორდეს. ამ ცენტრმა უნდა აიღოს თავის ხელში ამ კოლონიებთა შორის მჭიდრო კონტაქტის დამყარება, კულტურულ მუშაობის წარმოების ხელმძღვანელობა, მოჩარჩო თაობის აღრიდის საქმეშე ყურის გდება, საერთო ფონდის დაარსება და სხვ. და სხვ.

ჩვენ ლრმად გვრწამს, რომ ქართველი ემიგრაცია და მისი ხელმძღვანელი წრებით თავის მოვალეობას პირნათლად შეასრულებენ სამშობლოს წინაშე და ამით გაამართლებენ თავის უცხოეთში ყოფნას.

აღ. კორმაია.

მ ც ი რ ე შ ვ ე ნ ი შ ვ ე ნ ა.

«სოც. ვესტნიკის» სექტემბრის ნომერში მოთავსებულია აბრამოვიჩის გრძელი წერილი ნაციონალურ საკითხებზე, რაიცა თავდება ყოყმანით და ორქოფებით. სამაგიერო ის თავებში ნ. ერმანიას, მოყავს ძევლი ამბები დამასინჯებულათ და გვაბრალებს ნაციონალისტურ ცოდვებს. ის იგონებს სოც. დემოკრატიული მეორე ყრილობას 1903 წ. ლონდონში დასწერს: «ბუნდის პროგრამის ნაციონალური მოთხოვნილებათა წინააღმდეგ გაიღაშერეს, როგორც დაუშვებელი ნაციონალიზმის ყველაზე უფრო მკვაბეთ გაიღაშერა ნაციონალიზმის წინააღმდეგ ქართველ დელეგატთა მეთაურმა კოსტროვმა; მისი ნამდვილი გვარია უორდანია ნოე, სწორედ ის ერ-

დანია, რომელიც ამჟამათ არის თავმჯდომარე გამოხიზნული მთავრობის დამოუკიდებელი საქართველოსი და რომელიც შორს წავიდა ახლა უცხოეთში «ნაციონალისტური გარყვნილების» გზაზე».

რუსული თქმულებაა: «იცრუე, მაგრამ იქონიე ზომა». ო. აბრამოვიჩი არავითარ ზომას არ იცავს ამ თავის ტყუილებში. ნ. კოტდანია არ გამოსულა ბუნდის ნაციონალური პროგრამის წინააღმდეგ, ასეთი პროგრამა არც კი ყოფილა დასმული ბუნდოელების მიერ. საკითხი ეხებოდა მხოლოდ ბუნდის დამოკიდებულებას პარტიისან, საკითხი წმინდა ორგანიზაციული ხასიათის და მოკლებული ყოველივე პოლიტიკურ მნიშვნელობას. ყრილობის ოქმი დაბეჭდილია წიგნათ აქაც, უცხოეთში და იქ, რუსეთში. კოსტროგ-უორდანისი არაფერია შიგ ბუნდოელების ნაციონალური პროგრამის შესახებ.

საიდან და რისთვის გამოიგონა აბრამოვიჩმა მთელი ეს ბრალდება? უკვეველია იმისათვის, რომ ჩვენი ნაციონალური დროშა დაპისა და თავისი აბდა-უბდა თავს მოგვახვიოს. თუ ეს საკითხი მას აინტერესებს, შეეძლო ყრილობის დადგნილება: ამ საგანგა ამოეკითხა იქმიდან და ის გაეჩადა საგანათ დავისა. ეს დადგნილობა შეიცავს პარტიის პროგრამის მეცხრე მუხლს და იყითხება ასე: «მიეცეს თვითგამორკვევის უფლება ყველა ერს, რომელიც კი რუსეთის სახელმწიფოში ცხოვრობენ». აი როგორ დიდებულათ გადასცრა ყრილობამ ნაც. საკითხი და რასაც დღეს მალავენ აბრამოვიჩი და მისი ამყოლინი.

სწორედ საკითხის ეს გადაჭრა სიტყვა-სიტყვით განხორციელდა რუსეთის სახელმწიფოში ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ. როცა ასა-რუსი ერებმთ თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ამ საქმეს სოციალ-დემოკრატები მეთაურობენ მხოლოდ საქართველოში და ამ ნიადაგზე დგანან დღესაც მთელ თავის ხალხთან ერთათ.

ქართველმა ერმა თავისი სავალი გწები გამოარკვია, შექმნა შესაფერი კანონმდებლობა და გამოეიდა მსოფლიო ასპარეზზე თავისი ნაციონალური და სოციალური დროშით.

აბრამოვიჩი და მისი ამყოლინი ახლა იციწყებენ პარტიის დადგნილებას, თხზავენ რაღაც ამბებს სიმართლის მაგიერ, იგონებენ წვრიმალებს, ამასაც არასწორათ და ამით სურთ მიმალონ თავისი გადახვევა პარტიის პროგრამიდან, თავისი გადაბარგვა იმპერიალისტურ პოზიციაზე.

ურო არის რუსის სოციალისტურ ემიგრაციამ გამოაცხადონ პირდაპირ და გაბეჭულათ სცნობენ თავისთვის სავალ-დებულოთ პარტიის მეორე ყრილობის დადგენილებას ნაც. საკითხზე, სცნობენ ერთა თვითგამორკვევას, ერთა სუვერენობას თუ არა.

ძველი.

პოლიტიკის და დემოკრატია.

დიდი ხანია მას შემდეგ რაც დასავლეთში ამერიკიანა გამფებულია დემოკრატია და ამ გზით ეძლევა საშუალება კომუნისტურ პარტიას იმუშაოს თავის სამშობლოში მოსკოვის სასარგებლოთ; დემოკრატიის ნიშნობლივი თვისება — თავისუფლება, ე. ი. თავისუფლება ყველა ადგილობრივ დაჯგუფებას იმუშაოს ხალხში როგორც საჭიროთ დაინახავნება.

აი ამ წყობამ დაღუპა რუსეთის დემოკრატია, დანგრია დემოკრატიული რესპუბლიკა და გაამეფა კომუნიზმი. ძალით დამორჩილება ყველა კლასის და მთელი ერის და მუშაობა მთელ მსოფლიოში მოსკოვურ-სოციალური დესპოტიის დასტურებლათ.

და მხოლოდ ახლა, ამ უკანასკნელ თვეებში დასავლეთს აეხილა თვალები და დაიწყეს კომუნისტური კანონებით შევიწროება. ამ მხრით საყურადღებოა პირველ ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი კანონმდებლობა, რაიცა მიიღო უმაღლესმა ორგანომ, კონგრესმა, ვაშინგტონში.

აი ეს მუხლები:

1. ყველა კომუნისტი და კომუნისტური ორგანიზაცია უნდა იქნას ჩატვირთილი იუსტიციის დეპარტამენტში.

2. კომუნისტური ორგანიზაციები არიან ვალდებულინი წარმოადგინონ თავის წევრთა სია;

3. მათი მომუშავები არიან ვალდებულინი წარმოადგინოს სია იმ წყაროების, საიდანაც ისინი იღებენ გასამრჯელოს.

4. კომუნისტებს არ აქვთ უფლება დაიჭირონ რაიმე სამართველო სამსახური, არჩევნების გარეშე ან იმსახურონ დამცელ დაწესებულებებში.

5. კომუნისტებს პრ აქვთ უფლება რაიმე სამსახური მოითხოვონ, თუ წინდაწინ არ განაცხადებენ თავის წევრობას კომუნ. ორგანიზაციისა.

6. მთავრობის მოხელეთ არ აქვთ უფლება მისცენ რაიმე საიდუმლო ინფორმაცია კომუნისტებს, გარეშე პრეზიდენტის წებართვისა.

7. ევრც ერთი კომუნისტი ვერ მიიღებს უცხოეთის პასპორტს და არ აქვთ უფლება მიმართონ ასეთი თხოვნით.

8. თუ ომი ატყდა, მთავრობას უფლება აქვს დაატყვევოს კომუნისტები.

ეს კანონები გამოიწია უმთავრესათ მუშათა კლასში გაძლიერებულ ანტიკომუნისტურმა მიმართულებამ. საერთოთ, მთელი ამერიკა დღეს გაწყვობილია ანტიკომუნისტურათ.

ინგლისში მუშათა შორის დიდათ გაძლიერდა ანტიკომუნისტური მიმართულება, რამაც გამოიწია შრომის მინისტრის განცხადება თემთა პალატაში: «სასტიკ მხედველობაში იმყოფებიან კომუნისტები და პირველ შემთხვევისთანავე იქნება მიღებული მათ წინააღმდეგ სასტიკი ზომები».

ასეთია ჯერ-ჯერობით დემოკრატიის პირველი ანტიკომუნისტური ნაბიჯი.

შესახული საქართველო დან.

ხალხის ეკონომიკური მდგრადი გაცილებით უარესია დღეს, ვიდრე ის იყო ომის წინეთ თუ ომის პერიოდში. წინეთ გლეხს შეეძლო საქართველო მიდამო ეზოს, გარდა კოლმეურნეობისა, დამუშავება და მიღებული ნაყოფის თავისუფლათ გაყიდვა ბაზარზე. დღეს ეს აკრძალულია. მას შეუძლია გაიტანოს ბაზარზე თავისი ნამუშევრი კოლმეურნეობის ნამუშევრთან ერთად. თავისუფალი ბაზრის მოსპონსისათვის ბრძოლა დაიწყო ჯერ კიდევ 1932 წლიდან და ის დასრულდა ამჟამათ. ყოველ კოლმეურნეობის ნაყოფს აქვთ თავისი ადგილი ბაზარზე, ხოლო ფასებს მასზე აწესებს მთავრობა. ასე რომ საკოლმეურნეო ბაზარი დღეს არის ვაჭრობის გარეშე. ის ნაყოფიერება, რომელიც სახელმწიფო მნიშვნელობისაა (მაგ. ჩაი, თამბაქო, ლვინო, აბრეუშმი და სხ.) იყიდება თვით სახელმწიფოს მიერ დაწესებულ ფასებში და მას ყიდის სავჭრო ცენტრების ხაშუალებით იმავე გლეხებზე. ამ რი ფასს შორის არის განსხვავება=—5, 1—7, 1—9, ხოლო ზოგიერთ არჩეულ ნაწარმოებზე=—1—20. აი ამით იწყება ის სიღარიბე, რომელშიაც დღეს ჩავარდნილია მუშა და გლეხი.

ბაზარზე საქონელი გაძვირებულია. მაგ. შავი პური კილო სამი მანეთით, უფრო თეთრი რვა მანეთი, ხოლო მთლათ თეთრი პური 13 მანეთი. ჩვეულებრივი კოსტიუმი იყიდება 1.300—1.500 მანეთათ, ფეხსაცმლი 400 მანეთათ.

რუსეთში დღეს არსებობს სამი ბაზარი: კოპერატიული, კომერციული და შევი ბაზარი. კოპერატიული ფასები შედარებით დაბალია, მაგრამ საქონელს ვერ იშოვი რიგ-რიგობის გარეშე.

ხალტურა არსებობს ძველებურათ, რაც ადასტურებს მდგრადი გადახდას: ხალხი მეტათ შევიწროებულია და იძულებულია მიმართოს საქონლის საშოგრათ სხვადასხვა ხრიკებს. კოლმეურნეობის მომუშავეთა შორის ნაწილდება ფულადი და საქონლით შემოსავალი შორმა-დღეების მიხედვით.

1938 წელს გაუქმდა ქალაქის კოპერატიული და მისი მუშაობა გადაეცა სახელმწიფო სავჭრო დაწესებულებათ. მეურნეობის ყველა დარგის ფონდები თავს იყრის მოსკოვის ბანქში. ამჟამათ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი ითარება კიათურით. ყველა მაღნების შემოსავალს განავებს არა საქართველო, არამედ მოსკოვის ბანკი და კრემლის მეთაურები.

საქართველოს მართველობის უმაღლეს არგანოთ ფორმალურათ ითვლება საქართველოს უმაღლესი საბჭო, მაგრამ სინამდვილეში უმაღლესი თრგანოა ბოლშევიკური პარტიის

ცენტრალური კომიტეტი, პირველი შეოლოდ ამსრულებდელია მეორის დადგენილებების. ხოლო ეს ცენტრალური მოსკოვის პოლიტიკუროს და ასრულებს მის ბრძანებებს. ერთისიტყვით, ფორმალურათ საქართველოს ყავს თავისი მართველობა, სინამდვილეში კი გართველია მოსკოვი. ამას ყველა ხედავს, მაგრამ მასზე ხმამაღლა ღაპარავს ვერავინ ბედავს.

სამხედრო მდგრადარეობაში ამ ერთი წლის განმავლობაში
დიდი ცვლილებებია. ჩენენსში ითვლება ამჟამთ დახურუ-
ბით ჯარი თერთმეტ დივიზიისამდე. გარნიზონის უფროსია გე-
ნერალი ანტონოვი. მის შტაბში შედიან ქართველი გენერ-
ალებიც. ყველა ეს ემორჩილება ფრონტის შტაბს როსტოკში.
კავკასიი დაყოფილია რამდენიმე სამხედრო ოლქებათ.

საერთო წარმოებს დიდი მზადება საგარეო გართულების დროისთვის. ხოლო იქნება ეს გართულება თუ არა—ვერავინ იტყვის გადაწრით.

ડાયારો.

ପ୍ରକାଶନ.

26 გაისი უცხოეთზე.

ડ ા રોબો.

პარიზის ქართველთა ასოციაციის გამგეობის მიერ გა-
მართულ იქნა 26 მაისის დღესასწაული პარიზის ერთ დიდ
დარბაზში. დღესასწაულს დაესწრო დიდადალი საზოგადოება
და გარეშე სტუმრები. ზეიმის გახსნისას საზოგადოებას ფრა-
ნგულ ენაზე მიესალმა გამგეობის თავმჯდომარე ბ ნი ლ. ზუ-
რაბიშვილი, ქართულად ბ ნი ნ. ყურულაშვილი. შემდეგ სი-
ტყვები წარმოსთვევს საპორთა რუსეთისგან დაპყრობილ ყვე-
ლა ერების წარმომადგენლებმა. ჩვენმა პორტებმა დ. ყურუ-
ლაშვილმა და გ. ყიფიანმა წაიკითხეს საკუთარი ლექსები.

З о с ю б ъ ј б о.

26 მაისს გაიმართა ქართველთა კოლონიის სახეობმ
სხდომა საქართველოს დამოუკიდებლობის 32 წლის თავის
აღსანიშნავად. კოლონიის თავმჯდომარე ალ. კორძაი თავის
მისასალებელ სიტყვაში აღინიშნავს რა 26 მაისის აქტის მნი-
შვნელობას—დასქნს, რომ საქართველოს განთავისუფლების
ეპიზოდი მოახლოვებულია და თუ ქართველ ემიგრაციას სურს
ლირსეული მონაწილეობის მიღება სამშობლოს განთავისუ-
ფლების საქმეში,—მან თავისი რიგები მჭიდრო უნდა შეკა-
ვშიროს და ერთ ეროვნულ მეთაურობას დაუქედებაროს
თავისი მოქმედება... ის, რასაც ამ ახლო წარსულში ადგილი
ქონდა მომავალში არ უნდა განმეორდეს...

შემდეგ ბ-ნ მ. წერტეთელმა წაიკითხა მოხსენება საქართველოს დამოუკიდებლობისთვის საზღვარ-გარეთ მომქმედ ქართულ კომიტეტის მუშაობის შესახებ და მოიგონა ზოგიერთი ეპიზოდი ამ კომიტეტის მოღვაწეობიდან.

ბ-ნ დ. ვაჩინაძემ გაუზიარა საზოგადოებას მოგონებები საზოგადოთ 1918 წელს ჩვენში მომხდარ ამბებზე.

ორივე მოხსენება დამსწრებება დიდი ყურადღებით და ინტერესით მოისმინეს. მიღებულ იქნა მილოცვები სხვადა და სხვა ეროვნულ კომიტეტებისაგან, ბ. ბ. გ. დისამინისაგან, პროფ. ალ. ნიკურაძისაგან, ამერიკიდან ვ. გუნიასაგან, დასასრულ სტდომამ დაადგინა მიესალმოს საქართველოს ეროვნულ მთავრობას და გამოსთვევა იმედი, რომ მთავრობა ჩვეული ენერგიით განაგრძობს ბრძოლას სამშობლოს განთავისუფლებისთვის.

რ დ მ ი.

ქართველთა ასოციაციამ იტალიაში იდლესასწაულა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე. მოხსენებით გამოვიდა ბ ნი გორგი აბხაზი. მან დამსწრეთ გააცნო პირადი თავისი შთაბეჭდილებანი ისტორიულ ამბების შესახებ, შეეხო აგრეთვე იმ რთულ პოლიტიკურ კითარებასაც, რომელშიაც ჩვენი ერი მეზობელ კავკასიელ ერთად იმ დროს მოხვდა. დასასრულ მან გამოსთვევა იმედი, რომ სულგრძელი ქართველი ერი კვლავ იხილავს თავისუფლების მშესო... ილაპარაკეს აგრეთვე სხვებმაც, რომელთაც ბერდა არგუნა დასწრებოდენ ამ სახეიმო დღის გამოცხადებას საქართველოში.

ს დ შ დ (საფრანგეთი).

ამა წლის 26 მაისს ქართველთა კოლონიამ გადაიხადა ეროვნული დღესასწაული. დარბაზი მორთული იყო ქართული და ფრანგული დროშებით, ქართველი პოლიტიკური მოლვაწების და პოეტების სურათებით, რომელსაც ამშენებდა ჩვენი მედროშის ნოე კორდანიას სურათი. კრებას ხსნის გამგეობის თავმცდომარე ბ-ნი ი. აბულაძე, რომელიც ესალ მება დამსწრეთ, მოაგონებს 26 მაისის მოპოების და კვლავ მისი დროებით დაკარგვის ისტორიას. შემდეგ სიტყვას იღებს ბ. ბ. ს. ჭირაძე და აკეთებს ვრცელ მოხსენებას—თუ როგორ ისტორიულ პირობებში გამოცხადდა საქართველოს დამრუკიდებლობა. ამ მომენტის დასახასიათებლად მოიყვანა ბ-ნი ნ. ერდანიას, ევ. გეგეჭკორის და აკ. ჩხერიელის უმთავრესი სიტყვები და აგრეთვე წაიკითხა დამოუკიდებლობის აქტი. შემდეგ ილაპარაკეს ბ. ბ. ლ. გელენიძემ და გრ. აბულაძემ. წაიკითხეს ლექსები ბ. ბ. ი. აბულაძემ, დ. ქიმერიძემ და პ. ფირცხალაიშვილმა. განსაკუთრებული მადლობის ლიჩისი ბ. ბ. გრ. კვარცხავა, დ. ქიმერიძე და შ. ქურციკიძე, რომელთაც მოაწყვეს დღესასწაული.

ი. ბ—ლი.

75/41

შესალი არგენტინიდან.

არგენტინაში ამჟამად ასზე მეტი ქართველი ცხოვრობს. ესენი უმთავრესად დაბინავებული არიან ბუენოს-აირესში. აქამდე ახლად ჩამოსული ემიგრაცია ცდილობდა სამუშაოზე მოწყობას და ბინის შოვნას, რაც მეტად ძნელი საქმეა. ეხლა ეს ახალშენი იწყებს ნელ-ნელა კულტურულ ეროვნულ საქმიანობს. რამდენიმე პირთა ინიციატივით გაიმართა 26 მაისის დღესასწაული, რომელსაც თითქმის ყველანი დაესწრენ და იყენენ ზოგიერთი სტუმრებიც. სალაშომ ჩინებულად ჩაიარა და დამსწრენ კმაყოფილი დარჩენ.

შემდეგ მოეწყო 28 აგვისტოს აჯანყების წლის თავი. ამის შესახებ აღილობრივ პრესაში წერილებიც კი მოთავსდა. მოგვყავს აქ ერთი ასეთი წერილი დასტამბული 2 სექტემბრის ნომერში (Freie Presse):

«ქართველმა ერმა, რომელიც ათასეული წელი დარაჯად უდგა მოწინავე და ქრისტიანულ კულტურას ევროპისა და აზიის სახლვრებზე და ერთგულად იცავდა ამ საკაცობრიო კულტურას თვისი არსებობის გრძელ გზაზე მრავალი მწვავე ბრძოლები გადაიტანა. მიუხედავად მრავალ მწარე განსაცდელთა, ამ ერს რომ გადახდა, მან მაინც თვისი დამოუკიდებლობა და სამეფო საქართველო მეცხრამეტე საუკუნემდე მიიტანა.

მხოლოდ 1801 წ. შესძლო რუსეთმა ვითომდა «მფარველად» მოვლინებულმა, ამ ქვეყნის ძალით შეერთება. რუსეთმა მალე გადაასახლა საქართველოდან ამ ქვეყნის სამეფო სახლის, ბაგრატიონთა დინასტიის (რომელმაც 12 საუკუნე იმჟია) და შთენილი წევრები. ამას მოპყავა სისტემატიური დევნა და განადგურება მოწინავე ეროვნული ძალებისა... ყველა ამან გამოიწვია მთელი წყება აჯანყებათა ქართველი ხალხისა რუსეთის წინააღმდეგ.

ბოლოს, ასი წლის მონობის შემდგომ, ქართველმა ერმა კვლავ დაიბრუნა თვისი დამოუკიდებლობა 1818 წელს. სწორედ არგენტინის სახელმწიფო იყო ის, რომელმაც იურიდიულად პირველმა იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა... მალე ამას მოკეცა ასეთივე დეიურე ცნობა ერთა ლიგის დიდი სახელმწიფო ორებიდან.

მაგრამ განვლო სულ რაღაც სამშა წელმა და ბოლშევკი-
კური რუსეთი, რომელიც ვერ შეურიგდა ამ მდიდარ და
სტრატეგიულად ფრიად მნიშვნელოვან ქვეყნის დაკარგვას,
ომის გამოუხადებლად თავს დაესხა პატარა საქართველოს
და ძალად მოაწერა თავს თვისი იდეოლოგია დამარცხე-
ბულ ერს.

საქართველოს პასუხი იყო: ხელახალი ამბოხებანი...

და 1924წ. აგვისტოში მთელი ერი დადგა იარაღ ქვეშ. მა-
გრამ ეს აჯანყება, რომელიც მრავალგან წარმატებით გითარ-
დებოდა, ბოლოს ველაზ გაუმქლავდა დიდ რუსეთის ძალებს
და ბოლშევკებმა ის გაუგონარის სისასტიკით ჩახრჩეს.
სოვეტები დაესასწაულობდენ პირუსის გამარჯვებას; მაგრამ
ვერც დამარცხებამ, ვერც განუწყვეტლივმა ტერორმა ამ ამ-
ბებს რომ მოჰყვა, ვერ იქნა, ვერ გასტეხს ქართველი ერი და
მისი მისწრავება თავისუფლებისადმი.

ქართველობა, საცა ის არ უნდა იყოს, ყოველ წელს მოწი-
წებით იგონებს ამ წმინდა დღეს ნაციონალურ ამბოხებისას,
და ბუენოს აირესშიაც ალნიშნეს ქართველებმა ეს ისტორიუ-
ლი დატა.

პანაშვიდის შემდეგ, რომელიც გადახდილ იქმნა სამშობ-
ლოს განთავისუფლებისათვის დალუპულ მებრძოლთა მოსა-
გონარად, დარაზმულმა ქართველობამ გასწია სან-მარტინის
ძეგლისაკენ, და არგენტინის განმათავისუფლებელის—ამ გმი-
რის ძეგლთან მიიტანეს ქართველებმა თვისი გვირგვინი. არ-
გეტინის ამ დიდი მებრძოლის პატივისცემის და საქართვე-
ლოს ნაციონალურ აჯანყების დღე მათ სიმბოლიურად ერ-
თად გადაიხადეს, როგორც მაღალი ნიშანი და პატივი მებრ-
ძოლ ძალებისადმი, რომლებიც ეწირებიან დაპყრობილ ერთა
განთავისუფლების საქმეს».

დაახლოებით ამავე შინაარსის წერილები უძღვნეს ამ
დღეს სხვა გამოცემებმაც.

ამავე საინიციატივო წრემ მოაწყო საქართველოს უკანას-
კნელ დედოფლის, მარიამის დღე, რომლის გარდაცვალები-
დან წელს შესრულდა ასი წელი. მოხსენება წაიკითხა აკაკი
პაპავამ. დამსწრე საზოგადოებამ (იყვნენ ჩვენი მეზობელი
ერების წარმომადგენელნიც) დიდის ინტერესით მოისმინა ეს
მოხსენება და წამებულ დედოფლის ხსოვნა საგანგებო პატი-
ვისცემით ალნიშნა. მოძლვარმა ნიკოლოზმა გადაიხადა პანა-
შვიდი და შესაფერისი სიტყვით მიმართა ქართველობას.

**

Digitized by srujanika@gmail.com

ამს. პ. გვარჯალაძის მოწევნება უცხოელ ხატიალისტები.

ამს. კ. გვარჯალაძემ უცხოელ სოციალისტთა ფედერაციაში წაიკითხა ხუთი მოხსენება: «თანამეგდროვე საყვაიალო-ზემი და მარქსიზმი». ეს ფედერაცია აერთიანებს ორმეტ სხვა დასხვა ეროვნულ სოციალისტურ სექტიას. მას თავმჯდომარეობს ხუთი წელია ამს. კ. გვარჯალაძე, რომელმაც ყველას პატივისცემა და ყურადღება დაიმსახურა. მისმა მოხსენებებმა გამოიწვია უაღრესი ინტერესი. ფედერაციას განჩრაახულია ექვს გამოუწვას ეს მოხსენებები ფრანგულ ენაზე ცალკე ბროშიურათ. ისპანური სექტია უკვე შეუდგა მის ნაწილ-ნაწილათ გამოქვეყნებას ისპანურ ენაზე.

ბ-ნ მის. ჩუბინიძის მოწვევნება.

ამა წლის I ოქტომბერს სოსიერე სავანტის დარბაზში
გ 6 მიხ. ჩუბინიძემ ქართულათ წაიკითხა მოსხენება—ჟიათუ-
რის შავი-ქვის შესახებ. მომსხენებელი ფართეთ შეეხო შავი-
ქვის მრეწველობის წარმატობის და განვითარების ისტო-
რიას და მის მიზანების მიმავალ ქართულ ეკონომიკაში.

მოსსენება იყო ფრიად შინაარსისანი და გამოიწვია დიდი
ინტერესი დამსტრუ ქართველ საზოგადოებაში.

ՀՕԹՎՔՅՈՒՆԵԱՑԱԲ.

უადგილობის გამო გადაიდგა შემდეგი ნომრისათვის ნებროლოგები: იური ფალავა, ლადო ჭურალულაშვილი, გაბო ბერბიძეჭვილი, ბესარიონ ელენტი, ჯემალ ალბორგაჩი და აკ. ვადაცკორიას წერილი რედაქციის მიმართ.

შეცდომის გასწორება.

«ჩევნი დროშა»-ს მე-5 ნომერი შ. ი. წერილში—საქართველო და რუსეთი, კორექტორის მიერ დაშვებულია შემდეგი შეცდომა: გვ. 34, ხემოდან მე-24 პრეზიდენტი დაბეჭილია: ...სისტემათა შროშის მეტ ნაწილად... უნდა იყოს: დიდ ნაწილად, იმავე გვერდზე ქვემოდან მე-5 პრეზიდენტი დაბეჭილია: ნაციონალურათ შედგენილი ერთ... უნდა იყოს: შეგნებული ერთ.

A decorative horizontal border element featuring a repeating pattern of stylized ovals and diamonds.

ଓৰুলি রা রাসাদেক্ষিণি মাসাল্লেৰি উন্নদা গামোগৰ্ত্তাবন্ধু শ্ৰেষ্ঠ-
ভৱ্য মিসামাৰতীত:

P. Sardjveladzé.

35, rue de l'Aude 35. Paris (14)

Imprimerie Coopérative Arpajonaise, Arpajon.